# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 ივნისი, 2010 წელი.

№102 (6468)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## ალასანია ინტრიგანს არ იტევს

პოლიტიკურ პროცესში სულ რაღაც ერთი წლის წინათ შემოვედით. მე პირადად არ ვიცნობდი ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს, არ მქონდა მათთან ურთიერთობა. დღეს უკვე ძალიან კარგად ვიცი, როგორი პოლიტიკური პარტნიორები ავირჩიო



3

გაერთიანების შანსი რეალურად რომ ყოფილიყო, გავერთიანდებოდით. წარსული იმიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ის შეცდომა, რომელიც დაშვებულია, მომავალში გავითვალისწინოთ.



## 6 რას ადრე დავაკელი „კავკასიას“...

## როგორ აქცია სააკაშვილმა არჩევნები თავის ტრიუმფად 8



## „თავისუფლების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ პოლიტიკური ძალები ერთიანდებიან 2



## რატომ ბრუნავს დედამიწა გოდერძი ჩოხელის სულის გარშემო 5

## უგულავამ თბილისი „წამოიკიდა“ 8



## ახლა პრეზიდენტისა და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებიო,

ანუ როცა სულაც არ გვეცინება

3



## ახალი „მეწარმის-ტყაოსნები“ 7



## „ქათმების არჩევნები“ რუსთავში 4

## რა გაკვეთილი მიიღო საზოგადოებამ?

**(ო)პოზიცია**

**ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გუშინ ახალი ინიციატივა გაახმიანა – საარჩევნო კანონმდებლობის შესაცვლელად შეიქმნას სახელმწიფო კომისია. როგორც გვახსოვს, ედპ 2009 წლის მარტიდანვე აქტიურად ჩაერთო საარჩევო კოდექსის ჯგუფის სახელით მომუშავე პარტიების რიგში და NDI-ის ოფისში არაერთი შეხლა-შემოხლის სუბიექტიც გახდა. სწორედ ედპ მიემხრო ნაციონალებს მერის არჩევნებში 30-პროცენტიანი ბარიერის სისტემის შემოღების გამო, როცა სხვა ოპოზიციური პარტიები კოდექსის ამ მუხლს საეტაპოდ მიიჩნევდნენ.**

**გურამ ჩახვაძემ ედპ-ს ახალი ინიციატივა გააცნო ჟურნალისტებს. გთავაზობთ დეპუტატთან ექსკლუზიურ ინტერვიუს.**



## გურამ ჩახვაძე:

# არ ვემხრობით ხელისუფლების რევოლუციური ცვლილებების იდეას

## რატომ დამარცხდა ოპოზიცია?

**– ბატონო გურამ, როგორ გგონიათ, არასრულყოფილი საარჩევნო კოდექსის გამო მიიღო ოპოზიციამ ასეთი დაბალი პროცენტები, თუ სწორედ ეს ციფრები ასახავენ ქართველი ხალხის ნების ადეკვატურობას?**

– როცა ვამბობ, შედარებით დემოკრატიულად ჩატარდა არჩევნები-მეთქი, ვგულისხმობ შეცვლილ საარჩევნო კანონმდებლობას. ამ ცვლილებით მივიღეთ ის, რომ თბილისის საკრებულოში დღეს ნაციონალებთან ერთად წარმოდგენილი არიან სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის დეპუტატები მცირე დოზით, მაგრამ მაინც. ყოფილი საარჩევნო კოდექსით რომ ჩაგვეტარებინა არჩევნები, გვეყოლებოდა აბსოლუტურად ყველა ნაციონალი დეპუტატი.

**– და კიდევ უფრო დახვეწილი საარჩევნო კანონმდებლობით, ოპოზიციას ექნებოდა გაცილებით მეტი პროცენტები?**

– რა თქმა უნდა, ოპოზიციას მეტი შანსი ექნებოდა. ამაში ვგულისხმობ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფლებას, საჯარო მოხელეების აქტიურად ჩაბმას საარჩევნო მარათონში, მედიის მონიტორინგს ხელისუფლების მხრიდან და კიდევ სხვა ტექნიკურ საკითხებს, რომელიც დახვეწას მოითხოვს.

**– ამ ყველაფრის გათვალისწინებით არ მიიღეთ მუნიციპალიტეტის არჩევნებში მონაწილეობა?**

– მონაწილეობის ძალიან დიდი სურვილი გვქონდა, მაგრამ არ გვქონდა საამისო ფინანსური საშუალება, რაც კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობის.

**– ანუ პარტიების დაფინანსების კუთხითაც დასახვეწია კანონმდებლობა?**

– დიახ. იმიტომ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება, ჩემი აზრით, არის ერთ-ერთი უმთავრესი ხარვეზი ჩვენი საარჩევნო კოდექსის. ამის შესახებ აღნიშნულია საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების და ადგილობრივი არასამთავრობოების ანგარიშებში. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გარდა, პოლიტიკური ორგანიზაციები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნებში მითითებულია, რომ ბიზნესი დატერორებულია, ბიზნესმენები ვერ აფინანსებენ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს იმიტომ, რომ მათ აქვთ ხელისუფლების შიში და ა. შ. ჩვენს პარტიასაც აქვს რამდენიმე ინფორმაცია, როგორ „თხოვა“ რამდენიმე ბიზნესმენს ჩვენმა ხელისუფლებამ, დაეფინანსებინა მათი წინასაარჩევნო კამპანია.

**– და ამ ყველაფრის გამო, თქვენი ინიციატივა გამოდის აუცილებლობიდან, შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებზე იმუშავებს?**

– ეს არ არის მხოლოდ ედპ-ს აკვიატება, არამედ ევროპარლამენტის მოსაზრებაც ასეთია, რომ ქვეყანამ ორი პრიორიტეტული მიმართულებით უნდა გააგრძელოს მუშაობა: კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი.

**– ვინ უნდა იყოს ჩართული კომისიის სამუშაო ჯგუფში?**

– უპირველესად პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ცენტრალური საარჩევნო კომისია. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი წვლილი დიდია ამ საარჩევნო ცვლილებების მიღებაშიც, მაგრამ მაინც მუშაობა მხოლოდ სადამკვირვებლო მისიით შემოიფარგლა. ჩემი აზრით კი, უფრო მნიშვნელოვანია მათი საარჩევნო კანონის ფორმირების პროცესში ჩართვა.

**– პოლიტიკური პარტიები?**

– პოლიტიკური პარტიების უმთავრესი პრეროგატივა სწორედ ესაა, თუმცა მე ვგულისხმობ გარკვეული გავლენის მქონე პოლიტიკურ პარტიებს, იმათ, რომელთაც შეუძლიათ იყვნენ აქტიურნი, მოქმედნი, მიზანდასახულნი, რათა შეძლონ მმართველი პარტიის დარწმუნება მათ სიმართლეში.

**– თუ გეგმავთ კონსულტაციებს პოლიტიკურ პარტიებთან და არა მარტო საარჩევნო კანონმდებლობასთან, არამედ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით?**

– პარტიებს, როგორც ჩანს, დიალოგის დაწყების სურვილი აქვთ და ჩვენც ვფიქრობთ, მათი შეხედულებები გავიზიაროთ. სახელმწიფო კომისიაში მუშაობის სურვილს რომელი პარტია გამოთქვამს და ჩაერთვება მუშაობაში ჩვენი გადასაწყვეტი არ არის, მაგრამ, რაც შეეხება პოლიტიკურ დიალოგს, მზადა ვართ, ყველას დაველაპარაკოთ, ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის გარდა.

**– მიზეზი ისევ ნაცნობი და ძველი თემაა – რუსეთთან ურთიერთობის გამო?**

– პრორუსული ორიენტაციის პარტიებთან ეროვნულ-დემოკრატები საერთოს ვერასოდეს გამოვნახავთ და ასევე არ ვემხრობით ხელისუფლების რევოლუციური ცვლილებების იდეას. ვითანამშრომლებთ ყველასთან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ არსებული სისტემა უნდა შეიცვალოს არჩევნების გზით.

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ბრიფინგი**

# „ქართული დასი“ ოპოზიციურ პარტიებს თანამშრომლობას სთავაზობს

**ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დამთავრდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებისთვის კატასტროფული შედეგით.**

**თბილისის საკრებულოში 50 ადგილიდან 39 ადგილი, ანუ 78 პროცენტი ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო, ხოლო დანარჩენი სხვა პარტიებს ერგოთ.**




არჩევნების ასეთი შედეგებით დასრულება, ერთის მხრივ, ოპოზიციური პარტიების მიმართ უნდობლობამ გამოიწვია, რადგან მათი ლიდერები დაიქსაქსნენ და ერთ საერთო მიზნამდე ვერ მივიდნენ.

ამასთან დაკავშირებით, ქართული დასის წარმომადგენელმა ცესკოში გიორგი ბაშარულმა ბრიფინგი გამართა და რამდენიმე ძირითად საკითხს ხაზი გაუსვა, რომელმაც წინასწარ გადაწყვიტა არჩევნების ბედი და აზრი დააკარგვინა მასში მონაწილეობას.

ბაშარულის თქმით, ხელისუფლება კვლავ აკონტროლებს ყველა დონის, ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო ადმინისტრაციებს და მათი 13 წევრიდან 7 წევრს ნიშნავს ერთი პარტია, ანუ ნაციონალური მოძრაობა.

საარჩევნო კანონმდებლობამ საშუალება მისცა მმართველ პარტიას გამოეყენებინა ადმინისტრაციული რესურსები. პრაქტიკულად ასტრონომიული განსხვავება იყო ხელისუფლების და ოპოზიციის ფინანსურ რესურსებს შორის.

ამიტომ, ქართული დასის სახელით, გიორგი ბაშარული ყველა ოპოზიციურ პარტიას თანამშრომლობას სთავაზობს. „ეს აზრს მისცემს არჩევნებში პოლიტიკური პარტიების მონაწილეობას, რომ იყოს თანაბარი ბალანსი ყველა დონის საარჩევნო ადმინისტრაციაში, კანონმდებლობით აიკრძალოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება და მმართველი პარტია მკაფიოდ გაიმიჯნოს სახელმწიფოსგან, აიკრძალოს წინასაარჩევნო კამპანიაში მილიარდების ხარჯვა და კანონმდებლობით განისაზღვროს წინასაარჩევნო კამპანიის დროს პარტიების თანაბარი, დაბალანსებული გაშუქება“, – აღნიშნა ბაშარულმა.

**ეკა მაშიანოვა**

**ინფორმაცია**

## ევროკავშირი რუსეთისთვის უახლოეს მომავალში სავიზო რეჟიმს არ გააუქმებს

**ევროკავშირის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ რუსეთის მოქალაქეებისთვის უახლოეს მომავალში სავიზო რეჟიმი არ გაუქმდება.**

რუსეთში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე მაიკლ უები აცხადებს, რომ ევროკავშირი რუსეთის მიერ წარმოდგენილ უვიზო რეჟიმის პროექტს შეისწავლის, თუმცა საუბარი ვიზების სწრაფი გაუქმების შესახებ არ იქნება.

– ჩვენ, რა თქმა უნდა, შევისწავლით პროექტს, მაგრამ როგორც ევროკომისარმა ბაროზუმ პრეზიდენტ მედვედევს განუცხადა, ევროკავშირში ამ საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსი არ არის და ამიტომ ახლა უვიზო რეჟიმზე გადასვლას ვერ შევძლებთ, –აღნიშნა უებმა.

## „თოფაძე-მრეწველებმა“ რეგიონებში საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს

**რეგიონებში საკრებულოში შესასვლელად პროპორციული წესით არჩევნების წინასწარი შედეგებით „თოფაძე-მრეწველებმა“ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს.**



ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამ დროისთვის 3694 საარჩევნო უბნიდან 3598 უბანია დათვლილი, რომლის შედეგადაც „თოფაძე-მრეწველებს“ მხოლოდ 4.33% აქვთ მიღებული, ხოლო რეგიონებში საკრებულოში პროპორციული წესით შესასვლელად ბარიერის გადალახვისთვის 5%-ია საჭირო.

ბოლო მონაცემებით კი საქართველოს მასშტაბით პროპორციული წესით საარჩევნო ბარიერი ოთხმა პარტიამ – „ალიანსი საქართველოსთვის“ 9.32%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 65.25%, „ეროვნული საბჭო“ 6.95%, „გიორგი თარგამაძე, ინგა გრიგოლია – ქრისტიან-დემოკრატიული გაერთიანება“ 11.94%

**ჯი-ეიჩ-ენი**

**მოთხოვნა**

# „თავისუფლების ინსტიტუტის“ წინააღმდეგ პოლიტიკური ძალები ერთიანდებიან

**7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განვითარებული მოვლენების შედეგად დაპატიმრებული რვა ახალგაზრდა კვლავ პატიმრობაშია. მათ წინასწარ ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს, ხოლო სასამართლოს შემდეგ 2-დან 7-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ახალგაზრდების გათავისუფლებასთან დაკავშირებით პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები გაერთიანდნენ და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ოფისში მემორანდუმს მოაწერეს ხელი: ერთიანმა ახალგაზრდულმა მოძრაობამ „წინ“, საქართველოს კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ, პოლიტიკურმა მოძრაობამ „თავისუფლებას“, მოძრაობამ „გამარჯვებისთვის“, ლეიბორისტული პარტიის ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ და მოძრაობა „არამ“. თანასწორობის ინსტიტუტის მოთხოვნაა, დაიწყოს ბრძოლა ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური არასამთავრობო ორგანიზაციის „თავისუფლების ინსტიტუტის“ საქმიანობის წინააღმდეგ. მათი განცხადებით თუ უახლოეს პერიოდში ბიჭებს არ გამოუშვებენ გამართავენ ფართომასშტაბიან აქციებს. ახალგაზრდული მოძრაობა „წინ“-ის თავმჯდომარის ზურაბ ჩაჩანიძის განცხადებით საქართველოში ანტიქრისტიანული გაბატონებული ძალების უმთავრესი მიზანია ქართველი ხალხის ეროვნული ღირებულებების და ფასეულობების გადაგვარება.**

„სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ოფისში გამართულ ბრიფინგზე სიტყვით გამოვიდნენ, კონსერვატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი რევაზ გელდიაშვილი, მოძრაობა „თავისუფლების“ წევრი ლადო სადღობელაშვილი და მოძრაობა „გამარჯვებისთვის“ თავმჯდომარე, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე. ხაჭაპურიძის თქმით, დადგა დრო, რომ საქართველოში ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. „ვინც არის მომხრე, გამოვიდეს აქციებზე და ერთად მოვითხოვოთ ხელისუფლების გადადგომა, ვინც არა, მაშინ უყურონ მიხეილ სააკაშვილს 2013 წლამდე“.

**ზურაბ ჩაჩანიძე, მოძრაობა „წინ“-ის თავმჯდომარე:** – „ანტიქართულმა ძალებმა ბოლო პერიოდში გრანდიოზული ძალმოსილება შეიძინეს და დაუფარავ შეტევაზე გადავიდნენ. ამ ყველაფერს კი პროვოკაციულ პროპაგანდას მიზანმიმართულად ხელს უწყობენ ანტიეროვნული ორგანიზაციები, განსაკუთრებით „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომლის კარგად დაგეგმილ პროვოკაციაშიც 7 მაისს გაებნენ ახალგაზრდები, რომლებიც დღეს უკანონოდ არიან დაპატიმრებულები. სწორედ ამიტომ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთა და არასამათვრობო ორგანიზაციები ვერთიანდებით ანტიეროვნული ძალების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში. ხვალ ამავე საკითხით „თავისუფლების ინსტიტუტთან“ გავმართავთ აქციას, სადაც კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საზოგადოებას გამოფხიზლებისკენ“ – დასძინა მან.

**ხატია მუსერიძე**

№ 102. ხუთშაბათი, 3 ივნისი, 2010 წელი.

შეფასება

# უპირველეს ყოვლისა საარჩევნო კოდექსი უნდა შეიცვალოს...

*„ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი **ირაკლი ალასანია** 30 მაისის არჩევნების შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ესაუბრა.*



**— 30 მაისის არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, თქვენ ხმების 19.05 პროცენტი მიიღეთ, როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ეს შედეგი?**

— ხელისუფლებამ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თვეების განმავლობაში უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი გამოიყენეს. ამიტომაც შედეგი, რომელიც თბილისში დადგა, ასეთია.

ყველა ამომრჩეველს, ვინც მხარი დაგვიჭირა, მინდა ვუთხრა, რომ მათი მხარდაჭერა სრულ საფუძველს გვაძლევს, ბრძოლის ახალი ეტაპი დავიწყოთ; შევცვალოთ საარჩევნო სისტემა, სრულვყოთ და მომავალ არჩევნებს შევხვდეთ იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში შევიძინეთ. ასევე, მინდა, აღვნიშნო, რომ მადლიერების გრძნობით ვარ ჩემი ამომრჩევლის მიმართ, თუმცა პატივს ვცემ იმ ადამიანების არჩევანსაც, ვინც ჩემს ოპონენტს დაუჭირა მხარი. ამ ადამიანებს ვუსურვებ, რომ იმედები და წინასაარჩევნო დაპირებები გამართლდეს.

**— ოპოზიციის ნაწილი არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს. თქვენ როგორ მიიჩნევთ, იყო გაყალბება?**

— ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსი, პოლიციისა და უშიშროების სამსახურების და მედიარესურსების ასეთი დიდი მასშტაბით გამოყენება, ბუნებრივია, დიდ გავლენას ახდენს საარჩევნო პროცესსა და ამომრჩეველზე. თავად არჩევნების დღეს უფრო ტექნიკური ხასიათის დარღვევები იყო.

**— არსებობს მოსაზრება, რომ თქვენი საარჩევნო შედეგი განაპირობეს იმ შეცდომებმა, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში დაუშვით. ეს ასეა თუ არა?**

— ჩვენ მხოლოდ ერთი წელია, რაც პოლიტიკაში ვართ. შევქმენით ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაცია და მივიჩნევ, რომ ამ საარჩევნო პირობებში მართლაც მივაღწიეთ წარმატებას. სწორედ საზოგადოებამ და ხალხმა გამოკვეთა, რომ „ალიანსი“ და ჩვენი პოლიტიკური ძალა უალტერნატივო, ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პოლიტიკური ძალაა დღეს საქართველოში. ეს მხარდაჭერა მომავალი ბრძოლისთვის დიდ სტიმულს და საფუძველს გვაძლევს. დიდი გამოცდილება შევიძინეთ, სწორედ ამ გამოცდილების გათვალისწინებით, იმ შეცდომების გასწორებით, რაც ამ პროცესში დავუშვით, დარწმუნებული ვარ, შემდგომი არჩევნებისთვის დიდ წარმატებას მივაღწევთ.

**— ხშირად საუბრობთ გამოცდილების შეძენაზე, მაინც რა გამოცდილება მიიღეთ?**

— პოლიტიკურ პროცესში სულ რაღაც ერთი წლის წინათ შემოვედით. მე პირადად არ ვიცნობდი ყველა პოლიტიკურ მოთამაშეს, არ მქონდა მათთან ურთიერთობა. დღეს უკვე ძალიან კარგად ვიცი, როგორი პოლიტიკური პარტნიორები ავირჩიო, ყველაზე უფრო მეტად რა ჭირდება ჩემს ქვეყანას და რა აწუხებს მოსახლეობას. ბოლო ორი თვის განმავლობაში საზოგადოებასთან ყოველდღიური შეხვედრები იყო ჩემთვის ყველაზე დიდ გამოცდილება. სწორედ ამის გათვალისწინებით ვარ დარწმუნებული, რომ მომავალი ბრძოლა ბევრად უფრო სწორი, საფუძვლიანი და, რაც მთავარია, ხალხზე ორიენტირებული იქნება.

**— პარტნიორების გაცნობასა და არჩევაზე როცა საუბრობთ, ხომ არ იგულისხმება „ალიანსის“ შემადგენლობის გადახედვა?**

— „ალიანსი“ გამოიკვეთა, როგორც ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ძალა. ჩვენ ვაპირებთ, ერთად გავაგრძელოთ პოლიტიკური ბრძოლა საარჩევნო სისტემის შეცვლისა და მომავალი წარმატებისთვის.

**— თუმცა, ერთმა თანათავმჯდომარემ — სოზარ სუბარმა უკვე დატოვა „ალიანსის“ რიგები...**

— არიან ადამიანები, რომლებიც გამარჯვების რწმენას პირველივე წინააღმდეგობისთანავე კარგავენ. ნამდვილ მებრძოლებს დაბრკოლებები აძლიერებთ. მე არასდროს ვყოფილვარ გარანტირებული გამარჯვების გეგმის მონაწილე და ჩემი ყველა გამარჯვება, ყველაზე რთულ სიტუაციებშიც კი, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად მაქვს მოპოვებული. ასეც ვაპირებ გაგრძელებას იმ ადამიანებთან ერთად, ვისაც ამ ბრძოლის წარმატების სჯერა.

**— თუმცა, გუშინ თქვენს შესახებაც ამბობდნენ, რომ ირაკლი ალასანიასაც გატეხავს არჩევნებში მიღებული შედეგი და საიდანაც ჩამოვიდა, იქ დაბრუნდებაო...**

— ჩემი ადგილი ჩემს სამშობლოშია. ეს გადაწყვეტილება ძალიან მყარად მივიღე, როცა პოლიტიკაში მოვედი. ეს პასუხისმგებლობა ჩემი ხალხის წინაშე ავიღე. ბოლომდე ვაპირებ ჩემს ხალხთან ერთად ბრძოლას.

**— რამდენად აქტიური იქნებით მომავალში? როგორი იქნება თქვენი სტრატეგია?**

— ჩვენ მივაღწიეთ, რომ ხელისუფლებაზე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უპრეცედენტო ზეწოლა განხორციელდა. ყველგან, სადაც სააკაშვილი ჩადიოდა, მისგან არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ითხოვდნენ. თბილისში არჩევნების დღეს განსაკუთრებული ზეწოლა თავად საარჩევნო უბნებზე არ მომხდარა. რასაკვირველია, იყო ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება, თუმცა ეს საარჩევნო უბნებს გარეთ ხდებოდა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელიც“ და ერთ-ერთი ნაციონალური არხიც ბევრად უფრო დაბალანსებულად აშუქებდა წინასაარჩევნო პერიოდს. ეს არის სწორედ საერთაშორისო ზეწოლის შედეგი. ჩვენი საარჩევნო სისტემა ძალიან შორს დგას დემოკრატიულისგან და სწორედ აქ არის ბრძოლა საჭირო.

საერთაშორისო ორგანიზაციებს საარჩევნო სისტემასთან ბევრი პრეტენზია აქვთ. არის შეთანხმება, რომ სწორედ ამ სერიოზული ხარვეზების გამოსასწორებლად ვიბრძოლებთ. კერძოდ, საუბარია საარჩევნო კოდექსის და საარჩევნო სიების სრულყოფაზე. ასეთი დაპირება საერთაშორისო ორგანიზაციებისგან უკვე არსებობს. ჩვენ ვართ ყველაზე დიდი მხარდაჭერის მქონე ოპოზიციური ძალა საქართველოში და ამ პოზიციებს არ დავთმობთ.

**— ფიქრობთ თუ არა, რომ ოპოზიციას გაერთიანების შემთხვევაში წარმატების მეტი შანსი ჰქონდა?**

— გაერთიანების შანსი რეალურად რომ ყოფილიყო, გავერთიანდებოდით. წარსული იმიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ის შეცდომა, რომელიც დაშვებულია, მომავალში გავითვალისწინოთ.

განცხადება

## ნინო ბურჯანაძე: დადასტურდა, რომ გამოსავალი მხოლოდ პრეზიდენტის და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებია



**„დემოკრატიული მოძრაობის — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე 30 მაისის არჩევნებს „ავტორიტარიზმისა და ვირტუალური დემოკრატიისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად“ აფასებს და „ოპოზიციას ქვეყნის გადასარჩენად ერთიანი ბრძოლის გაგრძელებისკენ“ მოუწოდებს. როგორც ბურჯანაძემ გუშინ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, „ხელისუფლებამ 30 მაისს საკუთარი სცენარით დადგმული არჩევნების წინასწარ განსაზღვრული შედეგები ოფიციალურად გააფორმა“.**

„ხელისუფლებამ დემოკრატიის სტანდარტი იმდენად დაბალ ნიშნულამდე დასწია, რომ არჩევნების დღეს სიმშვიდე ქვეყანაში დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრის უმთავრეს კრიტერიუმად დასახელდა. თავიდანვე ნათელი იყო, რომ თვითმმართველობის არჩევნები ფარსი იყო და არა პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმი, რის გამოც პარტიამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ ეს არჩევნები არ იყო პოლიტიკური ბრძოლის გზა არსებული რეჟიმის შესაცვლელად.

ეს იყო ბრძოლა ოპოზიციურ ძალებს შორის საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად“, — განაცხადა ბურჯანაძემ. მისივე თქმით, „ხელისუფლების მიერ ამ კარგად დაგეგმილ ფარსში ოპოზიციის ნაწილის ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარი გამოუცდელობისა თუ ამბიციების, ან პოლიტიკური დივიდენდების მოპოვების გამო ჩართვამ საზოგადოების ნაწილს ცრუ იმედები გაუჩინა, მიღებული შედეგით კი ნიჰილიზმი დანერგა, ამასთან, სააკაშვილის რეჟიმის ლეგიტიმაციას შეუწყო ხელი“. „მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ.

გულგატეხილობა და არსებული რეალობისადმი შეგუება სწორედ ის არის, რაც ამ ხელისუფლების წისქვილზე უშვებს წყალს“, — მიაჩნია ბურჯანაძეს, რომლის აზრით, ამ ვითარებიდან გამომდინარე, პრეზიდენტის და პარლამენტის ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა აუცილებელი. „კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ არ არსებობს სხვა გზა, გარდა იმისა, რაც ჩვენ ავირჩიეთ. გამოჩნდა, რომ მხოლოდ პრეზიდენტის და პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებია გამოსავალი. ეს არის გზა, რომლისკენაც სახალხო წარმომადგენლობითი კრების ინიციატორები და მხარდამჭერები სრულიად საქართველოს, ყველა რეალურად ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას მოვუწოდებთ. ეს ბრძოლა ჩვენ ერთად და თანამიმდევრულად უნდა გავაგრძელოთ და იგი ჩვენ საერთო დასახულ მიზნამდე აუცილებლად მიგვიყვანს!“, — დასძინა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ.

**ინტერპრესი.**

ინფორმაცია

## მეგობარი ქვეყნები ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუციას მიიღებენ



**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, აფხაზეთს და ცხინვალის რეგიონს, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ რეზოლუციას, ლიტვის გარდა სხვა ევროპული ქვეყნის პარლამენტებიც მიიღებენ.**

**„უპირველეს ყოვლისა, ლიტვის პარლამენტს, მთავრობასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს ქართველი ხალხის სახელით მადლობა მინდა გადავუხადო იმიტომ, რომ ამ ქვეყნის პარლამენტში ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა დაიწყო, როდესაც ევროპის პარლამენტარებმა თავის რეზოლუციაში ისედაც ნათელი ჭეშმარიტება დაადასტურეს, რომ საქართველოს ორი რეგიონი — აფხაზეთი და ცხინვალი ოკუპირებულია და ამ ტერიტორიებზე ეთნიკური წმენდა მოხდა“, — განაცხადა ვაშაძემ.**

**მისივე შეფასებით, აღნიშნული რეზოლუციის მიღება ლიტვით დაიწყო, თუმცა მხოლოდ ამით არ დასრულდება.**

**„ეს იყო პირველი ევროპული ქვეყანა და მსგავს რეზოლუციას პირობას გაძლევთ, რომ ძალიან ბევრი ქვეყნის პარლამენტი და ევროპარლამენტიც მიიღებს, თუმცა ის რეზოლუცია, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო ძალიან ძლიერია და აქამდე ასეთი რეზოლუცია არ ჰქონია“, — განაცხადა ვაშაძემ.**

**— ყველაფერი საერთაშორისო სამართლებრივი შეფასებით იწყება და მინდა გითხრათ, რომ ოკუპანტი ოკუპირებული ტერიტორიიდან აუცილებლად წავა, — აღნიშნა ვაშაძემ.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ 30 მაისის შემდეგ

# ქვეყანაში არ არსებობს ხელისუფლების ალტერნატიული ოპოზიცია?!

## რა გაკვეთილი მიიღო საზოგადოებამ?

**თურმე ყველამ მშვენივრად ვიცოდით, რომ ნაციონალური მოძრაობა კიდევ დიდი ხნით გაიხანგრძლივებდა არსებობას, მშვენივრად ვხვდებოდით, ოპოზიციის დამარცხების გარდაუვალობას და ამის შემდეგ ენა როგორ უნდა მოგვიბრუნდეს იმის სათქმელად, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრიო...**

რა გაკვეთილი მიიღო საზოგადოებამ ამ არჩევნებისგან?! ვერ გეტყვით, ვინ რა დასკვნა გამოიტანა, მაგრამ განწყობა არის ისეთი, რომელსაც თავისი ახსნა აუცილებლად უნდა მოვუძებნოთ. იმის მიუხედავად, რომ უმრავლესობამ მართლაც ნაციონალებს დაუჭირა მხარი (ასეთია ცესკოს ოფიციალური მონაცემებიძ, განაც აქამდეც ხომ იყო საკრებულოს დეპუტატი, რისი შეცვლა მოახერხა? რამდენიმე მემარჯვენე და რესპუბლიკელიც მოიყრის თავს მუნიციპალიტეტში. ისინიც ამტკიცებდნენ, რომ პარლამენტის დეპუტატის მანდატის დაჭრას დიდი აზრი ჰქონდა და არაფრით არ დათანხმდნენ 2010 წლის ივნისამდე ლიად დატოვებულ პარლამენტის კარებში შესვლას. ახლა, ალბათ, საკრებულოს სავარძლებს გაინაწილებენ და მყარად მოკალათდებიან, მაგრამ საკითხავია, რისთვის? რა აზრი ექნება ასეთი უმცირესობით ოპოზიციის საკრებულოში ყოფნას?

ალიანსი საქართველოსთვის დღეს ქრისტიან-დემოკრატების უკან დაახევინეს, პოლიტიკა კი ამგვარ გაუთვლელ ჩავარდნებს ვერ იტანს. ალასანიას რეიტინგი მაშინვე დავარდა და არა იმის გამო, რომ მან ნოღაიდელს ჩამოართვა ხელი, არამედ იმის გამო, რომ ერთხელ ნათქვამი უკან წაიღო და სცადა რაღაც აბსურდული არგუმენტებით თავისი ქმედებით გამართლება. „არ ვიცოდი, თუ იქ ნოღაიდელი დამხვდებოდაო!" — ამის შემდეგ საზოგადოებამ ალასანიას გულწრფელობასაც ხაზი გადაუსვა.

მივიღეთ ის რეალობა, რაც გვაქვს, ხოლო ამასთანავე ვადამდელ პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების იდეას ბოლო მოელო. შეიძლება რამდენიმე პოლიტიკოსის აზრით, ამ ხელისუფლებას ყოველდღე ახალი უბედურება მოაქვს ქვეყნისთვის, მაგრამ საზოგადოებას ძალიან უჭირს იმის გაცნობიერება, ვინ არ მოუტანს უბედურებას ქართველ ხალხს. სწორედ ამ გზის დაუნახაობამ გადააწყვეტინა ნაციონალების გულწრფელ მხარდამჭერებსა თუ ფსევდონაციონალებს თბილისის ახალ მერად მარჯვებით ყველა როდია კმაყოფილი. ცვლილებები, ახალი სახეები, ახალი იდეები — ყველას უნდა, მაგრამ არ არის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, ვისაც ეს ხელეწიფება. და რაც უნდა შორიდან ვუაროთ ამ საქმეს, დავინდოთ ოპოზიცია და მათ გულებშიც ჩავიხედოთ, ფაქტი ერთია, ქვეყანაში არ არსებობს ხელისუფლების ალტერნატივა — ოპოზიცია. ეს არამც და არამც არ არის მთელი საზოგადოების ბრალი, უბრალოდ ეს იმ ადამიანების სინდისზეა, რომლებსაც პოლიტიკოსობა სურთ, ხელისუფლებასაც შეცვლიან (რამე რომ იყოსძ, მაგრამ არ აქვთ საამისო პასუხისმგებლობა. უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, ჩვენ უკან ოჯახი დგას თავისი სოციალ-ეკონომიკური მოთხოვნილებებითა და პრობლემებით, ხოლო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეები მეორე მხარეზე ინაცვლებს...

როცა ექსპერტთა დიდი ნაწილი, თუ თითქმის ყველა არა, ხელისუფლების უპირობო გამარჯვების გარანტიას იძლეოდა და ამის შესახებ ვარაუდები და სათუო კომენტარებიც კი არ კეთდებოდა, პოლიტიკოსთა დიდი ნაწილიც ასევე ამბობდა, რომ ოპოზიციური ფლანგის დამარცხება გარდაუვალი იყო და შანსი არ რჩებოდა, ძნელია ახლა არჩევნების შედეგების გამო ვინმე წუწუნს მოჰყვეს, ან იმ გაყალბებებზე ისაუბროს, რაც არჩევნების დღეს მოხდა.

კობა დავითაშვილი თბილისის საკრებულოში მოხვდა, არადა კარგად გვახსოვს მისი მკაცრი უარი პარლამენტის წევრობაზე. დავიჯერო პოლიტიკოსი საკრებულოში მეტს გააკეთებს, ვიდრე საკანონმდებლო ორგანოში? თარეიტინგს ეტოლება, არადა სულ რამდენიმე თვის წინათ ირაკლი ალასანია ლამის ერთადერთი მაღალრეიტინგული კანდიდატი იყო, არათუ მერის, არამედ პრეზიდენტის პოსტზეც კი. რატომ დაეცა მისი რეიტინგი? ამაში ვერც ხელისუფლებას დავდებთ ბრალს და ვერც საზოგადოებას. შეცდომები ალიანსის შიგნით არის საძებარი. ხოლო ამ ძიებას შესაძლოა სრულიად ბუნებრივად ალიანსის რღვევის პროცესი მოჰყვეს. სავარაუდოდ, დაიშლება ეროვნული საბჭოც, თუ კონსერვატორებმა არ მიიერთეს ისედაც ერთი კაცის პარტიად დარჩენილი ხალხის პარტია. ნოღაიდელი თითქმის თავის თავით უკმაყოფილო ჩანს, მაგრამ ისედაც აშკარაა, რომ ის ბრძოლის მეთოდებს სწორედ თანამებრძოლებს უწუნებს, თუმცა მგონი, არც იმათ ეპიტნავებათ დიდად შეუვალი, უხეში და ხისტი ზურაბ ნოღაიდელი.

სოზარ სუბარიც ჯერჯერობით პოლიტიკურ პროცესებს განუდგა. ის განზე დარჩა ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკრებულოს თავმჯდომარეობის პირობით სკამზე თქვა უარი და საარჩევნო სიის პირველი ნომრიდან თავი მოიხსნა. ლევან გაჩეჩილაძის, სოზარ სუბარის, ირაკლი ალასანიას დიდ ძალისხმევას ფასი არ დაედო და ოპოზიციური შეთანხმება ვერ შედგა. განსაკუთრებით ამ კუთხით დიდი მნიშვნელობა სწორედ ალასანიას გადადგმულ ნაბიჯებს უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ისე გაკიცხეს და „გააფარჩაკეს" ვერის ჭადრაკის სასახლეში ზურაბ ნოღაიდელის გვერდით ჯდომის გამო თანაგუნდელმა „რესპუბლიკელებმა", რომ თავისი სიტყვებით და გადადგმული ნაბიჯებით ძველი მერის არჩევა და არა იმიტომ, რომ უგულავას აშენებული ხიდები, გზები და ქუჩები ვინმეს ძალიან ხიბლავს.

ამიტომაც არ მოუხდა ყველაზე ძალიან ამ არჩევნებს ერთობ აპრობირებული და ბანალური გამონათქვამი „ყველა ხალხი იმ ხელისუფლებას იმსახურებს, როგორიც ჰყავს".

**ხელისუფლება საკუთარი გამარჯვების მომტან ბიულეტენებს ითვლის (უკვე აღარც ითვლის), მაგრამ ოპოზიციას არ ეტყობა, რომ თავის შეცდომებს ითვლიდეს, პირიქით, განვლილი გზის გამართლებას ცდილობს, ამ გზით კი ისე გამოეცლება ხელიდან ჯერ კიდევ მრავლად არსებული მხარდამჭერების გუნდი, როგორც შემოდგომაზე ეცლებიან ჭადრის ხეს გახუნებული ფოთლები...**

თეა მოსია



◎ ცხელ გულზე

# ქათმების არჩევნები

**— როგორ მოგეწონათ ქათმების არჩევნები? — არჩევნების მეორე დღეს, ქუჩაში გამოსულს, ერთი ნაცნობი შემხვდა საგაზეთო ჯიხურთან.**

**— რაო? — უცებ დავიბენი, ასეთი რამ პირველად მესმოდა და, არ დაგიმალავთ, ჭკუაში დამიჯდა, — ეგ საიდან მოიტანე?**

— ქათმების არჩევნები იყო, აბა რა, — ჩემს მოსაუბრეს თანდათან ბრაზი ემატებოდა და დაიქოქა, — ჩემს შენობაში, ჯერ კიდევ ორი თვით ადრე, სადარბაზოების კოორდინატორებად მამალი ქათმები დანიშნეს და კარგ ფულსაც უხდიდნენ. მერე ეს მამალი ქათმები დატრიალდებოდნენ, თითოეული სადარბაზოს რემონტისთვის 3 ათასი ლარია გამოყოფილიო, ყველა ოჯახს აკითხავდნენ, დაჰქონდათ სიები, იწერდნენ პირადობის მოწმობათა ნომრებს, თან ხელს აწერინებდნენ. ეს ჯერ მოთელვა იყო, შემდგომში ამ კოორდინატორებმა თავიანთი წარმომადგენლები გაიჩინეს, ახლა ისინიც დატრიალდნენ. და ასე მომრავლდნენ ქათამამომრჩევლები.

— კი ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო, მაგრამ ქათმები?..

— დიახ, დიახ, ქათმები! ქათმებს საკენკს რომ დაუყრიან, ეგრე არ მიცვივდნენ საარჩევნო ურნებს?.. არც ზოგ-ზოგი კაცები ჩამორჩნენ, ამ ხალხმა რაღაც ოცი, ოცდაათი ლარისთვის რომ გაყიდა შვილების მომავალი, ქვეყანა, ეგეთი უნამუსობა წინა არჩევებშიც არ მინახავს.

— ხალხს რას ერჩი, — ახლა ვიღაც უცნობი ჩაგვერთო საუბარში, — ოპოზიციის ლიდერებმა ისე აგვირიეს გზაკვალი, რა ხდება, ვინ ნაციონალია, ვინ ხალხისკენაა ვერ გავიგეთ. ამ ნაციონალებმა ეზო-ეზო პურმარილი ჩამოარიგეს, ყვავს კაკალი რომ გააგდებინო ესეც ხეირიაო, ჰოდა, ჩვენც წავუქეიფეთ...

— იმ დღეს კახეთში მივდიოდი, სიღნაღის გადასახვევთან თორთლაძის უშველებელი ბანერი ეკიდა, ჩაჰალსტუხებული პადოშა დერმანტინოვიჩი, როგორც მას გონებამახვილურად შეარქვა ჩემმა ერთმა კოლეგამ, გაიჯეჯილა. არადა, ეს კაცი ასიათასიან, იპოდრომთან კი 300-ათასიან მიტინგებს ხელმძღვანელობდა, მერე პარლამენტში ვირთხასავით შეძვრა და ხომ შერჩა ხახვივით? — ჩემდა უნებურად მხარი დავუჭირე უცნობს.

— მაინც ვის დასჭირდა ეს არჩევნები? — ჩემი ნაცნობი თავის გულის ძოთანს ათუხთუხებდა, — მთელს ქვეყანაში რომ გაყალბდა? ვერც ერთმა ოპოზიციურმა მაჟორიტარმა ვერ გაიმარჯვა, ნაციონალებმა აბუჩად აგვიგდეს, ყველა, ვინც არჩევნებამდე იყო, ისევე ის ხალხი დარჩა, ყველა თავის სავარძელს დაუბრუნდა...

ძნელია ეპაექრო ოპონენტს, ძნელია კი არა, შეუძლებელი, როცა ის ცამდე მართალია. არადა, ჩემს საარჩევნო უბანზე აშკარად წავაწყდი დარღვევებს. ჯერ ერთი, კართან მდგარმა პოლიციელმა, რომელიც იქ არ უნდა მდგარიყო საარჩევნო კანონით, მითხრა დაიცადეო.

რათა-მეთქი!

შიგ ბევრი ხალხიაო.

შენ აქ რატომ დგახარ, ეს ხომ კანონის დარღვევაა-მეთქი.

უფროსების ბრძანებას ვასრულებო.

შიგნით მეორე პოლიციელი იდგა, იმასაც ზურგზე პოლიციის დაცვის სამსახური ეწერა. დარბაზში კი სიხალვათე იყო, ასე იმიტომ აკეთებდნენ, რომ ამომრჩეველი ფსიქოლოგიურად გაეტეხათ. როდესაც უბნის ახალგაზრდა თავმჯდომარეს მივმართე, პოლიციელები რატომ გყავთმეთქი, აბა, წესრიგი ვინ უნდა დაიცვასო(!ძ.

იქვე, ჩემი ნაცნობი კოორდინატორი ქალბატონები შემხვდნენ. ისინი, ჩემი ნაცნობისა არ იყოს, ქათამ-ამომრჩევლებს ჯერ საარჩევნო უბნის ეზოში ხვდებოდნენ, სათითაოდ ითვლიდნენ, თავიანთ სიებში აღნუსხავდნენ, დაამუნათებდნენ. მერედა, ხალხი ისეა დაშინებული, 5-იანის გარდა სხვა ციფრებს ვეღარ ხედავდნენ... უბედურება გვჭირს, ამ დროს კი აქუბარდიას ტელევიზიიდან გვმოძღვრავენ, ბელადს ნუ ეძებთო. ბელადს კი არა, ლიდერს ელოდება ხალხი, წინამძღოლი სჭირდება, თორემ საკუთარ სიცოცხლეს არცკი ზოგავენ, ისე არიან სულით ხორცამდე შეძრულნი ამ ხელისუფლების ვერაგობით.

ბევრს არ გავაგრძელებ, ერთს გეტყვით: ნაციონალებს ერთი მაინც დასცდათ ამ პერიოდში — ქარხნებს ავაშენებთო, თუნდაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელ საწარმოებს, რომ ასი ათასობით უმუშევრიდან ცოტას მაინც ვუშველითო? რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაზე ხომ საუბარიც არ არის.

ჰოდა, რაზეა საუბარი, მე კი სულ თავში მიტრიალებს, თანაც მწარედ, ჩემი ნაცნობის სიტყვები, **ქათმების არჩევნებიო რომ მომახალა. ღმერთო, საააკაშვილმა ნუთუ უკვე გაგვაქათმა, გამოგვადებილა?**

გივი ჯახუა.
რუსთავი.

***P. S. ისე, ერთი მგლისკენ და ერთი — თხისკენო, იმისი არ იყოს, ნაციონალებს ერთ რამეს ნუ დავუკარგავთ: ისინი რაიონებში ხშირად თვითონ დაეძებდნენ საკრებულოთა წევრობის ოპოზიციურ კანდიდატებს. მართალია, ყველგან კი თავად გაიმარჯვეს, მაგრამ ფაქტი ფაქტია.***

***გ. ჯ.***

◎ ინფორმაცია



# ევროკავშირის პრეზიდენტმა რუსეთი გააკრიტიკა

**ეს განცხადება ევროკავშირი-რუსეთის სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის პრეზიდენტმა ჰერმან ვან რომპეიმ გააკეთა.**

**მან ოფიციალურ მოსკოვს მოუწოდა, რომ საქართველოსთან ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში უფრო კონსტრუქციული იყოს და 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულოს.**

**— ევროკავშირს და რუსეთს საერთო ინტერესები აქვთ უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესების კუთხით, რომ უფრო კონსტრუქციული როლი ითამაშოს ვალდებულების შესრულებაში, — აღნიშნა ევროკავშირის პრეზიდენტმა.**

**აღსანიშნავია, რომ ეს განცხადება პიანმარ ვან რომპეიმ რუსეთის პრეზიდენტთან დიმიტრი მედვედევთან და ევროკავშირის უმაღლეს კომისართან ჟოზე მაუელ ბაროზუსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.**

[illegible]

ექსპერტის აზრი

# ჭარბი დემოკრატია ჭარბი ანარქიაა

**მეორე მსოფლიო ომის თემაზე საუბარი, გამარჯვების 65-ე წლისთავის აღნიშვნის შემდეგაც არ მინელებულა. ექსპერტები, პოლიტიკოსები, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებულ მოსაზრებებს ამზეურებენ, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია კაცობრიობის ისტორიის ეს მონაკვეთი არა მარტო თავად ისტორიისათვის, არამედ დღევანდელი და ხვალინდელი ყოფისათვის.**

თემა აქტუალურია, რაც იმის საბაბია, რომ მომავალშიც გაგრძელდება ცხარე საუბარი. განსაკუთრებული აქტიურობა იგრძნობა რუსულ მედიაში — რას არ გაიგონებთ აქ. თვალში საცემია ე. წ. რუსი ლიბერალების გამოსვლები. როგორც ყოველთვის ისინი მოწოდების სიმაღლეზე არიან სტალინისა და სტალინიზმის კრიტიკაში, საზოგადოებისთვის დამახინჯებული „ფაქტების" თავსმოხვევაში. **ის, რაც მსმენელს უმალ მოხვდება ყურში არის — ფაშიზმისადმი ლმობიერი მიდგომა და ფაშიზმზე მეტად კომუნიზმის, სტალინიზმის ლანძღვა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება — ცოტაც და სტალინს დაბრალდება მეორე მსოფლიო ომის დაწყება. ამის მომასწავებელია გავრილ პოპოვის — მოსკოვის ყოფილი მერის გამოქვეყნებული სტატია, სადაც აღნიშნავს, რომ სტალინმა მოაწყო აგრესია პოლონეთის, ფინეთის მისამართით, სამამულო ომამდე გაცილებით ადრე. 1941 წლის 22 ივლისამდე, საბჭოთა მეომრები იბრძოდნენ ესპანეთში ფრანკიზმის წინააღმდეგ და ხალხინგოლთან. უკვე არა ერთეულები, არამედ ჯოგი ლიბერალებისა თავგადაკლული ამტკიცებენ, რომ სტალინმა ომი წააგო და ა. შ. ამ „ისტორიული და სამართლიანი" შეფასების ავტორი რუსი ლიბერალი ჟურნალისტი ლატინინა გახლავთ. ის არა მარტო სააკაშვილის აქტიური დამცველია, არამედ ყოველგვარი რუსულის და ცხადია, ქართულის მტერი. 21-ე საუკუნის პირველი დეკადის მიწურულს დაუჯერებელია ჟურნალისტური ქველმოქმედება ანუ უანგარო ლატინინასეული ავადმყოფური მოსაზრება. სააკაშვილ-ბენდუქიძის მარიფათმა და მსუყე მწვანეებმა ააჭიკჭიკეს ლატინინა სააკაშვილის სასარგებლოდ და ტალიავინის საწინააღმდეგოდ, ისე, როგორც დასავლურმა თანხებმა უბიძგეს მას ანტისტალინური, ანტირუსული,ანტიჰუმანური მოქმედებისკენ. ლატინინა ის „ფრუქტია", რომლის ოდნავი გასინჯვაც კი პირის ღებინებას დააწყებინებს მსმენელს. ეს ის „ჟურნალისტია", რომელიც თავისუფლად დააბოტებს დაუკრეფავში და არა მარტო ევროკავშირს, მის მიერ შექმნილ კომისიას, არამედ ღრმადპატივცემულ მეცნიერ-ისტორიკოსებსაც შეჰბედავს ჭკუის სწავლებას.** ლატინინამ კიდევ ერთხელ ეჭვქვეშ დააყენა ტალიავინის კომისიის დასკვნები ცხინვალის ომთან დაკავშირებით და მკაცრად გააკრიტიკა გამოცდილი დიპლომატი იმაში, რომ მან ცალსახად მხარი არ დაუჭირა სააკაშვილს. ერთის შეხედვით ნებისმიერ ქართველს უნდა ახარებდეს ლატინინასეული მოსაზრება, თუნდაც მწვანე დოლარებზე დაფუძნებული, მაგრამ ერთის შეხედვით, **ლატინინას აზრები გზიდან აცდენს ისედაც სახელმწიფო პროპაგანდისგან გონებადაბინდულ საქართველოს მოსახლეობას და ხელს კრავს პერმამენტული ზეიმისკენ და ხელისუფლებასთან დარაზმვისკენ, რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის 12 აგვისტოს. ეს კი თავმოყვარე, სამართლიანობის მოსურნე ერისათვის მიუღებელი უნდა იყოს. ვერასდროს აშენდება სახელმწიფო თუ შენს წილ დანაშაულს სხვას აჰკიდებ, საბედისწერო შეცდომისათვის პასუხს არ აგებინებ თუნდაც პირველ ხელისუფალს, თუნდაც სიმბოლურად. ასეთს, თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში არაერთხელ ჰქონია ადგილი. დამნაშავე ხელისუფლების გათეთრება არა მარტო მას ათავხედებს, არამედ მის მომხრეებსაც, მთლიანობაში ერს. წინაპრებს შემთხვევით არ უთქვამთ — შეცდომებზე სწავლობენო. 1992 წლის აგვისტოს შეცდომებზე, რომ გვესწავლა 2008 წლის აგვისტო არ იქნებოდა. ლატინინა არაფრად აგდებს არც საქართველოს და არც აქ მცხოვრებ ადამიანებს. მისთვის მთავარი ფულია. ის, რომ ქართულ თემას წუწკი გამორჩენის თვალით არ უყურებდეს — კრიტიკულ, თანაც ჭეშმარიტ სინამდვილეს ეტყოდა ერს, ისე, როგორც ასტაფიევმა, გაგანია კომუნისტური „გაფურჩქნის" პერიოდში.**



რაც შეეხება ომის თემას, სწორედ ლიბერალთა მრავალწლიანი ძალისხმევის წყალობით საბჭოთა კავშირის წვლილს ეჭვქვეშ აყენებენ. შემთხვევას ან გაუგებრობას არ უნდა მიეწეროს აშშ-ს სკოლის სახელმძღვანელოებში ამ ქვეყნის მეთაურობით მე-2 მსოფლიო ომში გამარჯვება. საბჭოთა კავშირიც არის ნახსენები, მაგრამ მთავარი, ამერიკა ყოფილა. იმჟამინდელი ისტორიის ფალსიფიკაცია კულმინაციას აღწევს და რუსეთის ხელისუფალთა დაგვიანებული ხელზე კბენანი საქმეს ვერ უშველის. ანტისტალინური, ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა, ხრუშჩოვიდან დაწყებული, გორბაჩოვ-ელცინით დამთავრებული, სერიოზულად მოქმედებს არა მარტო რუსეთის მოსახლეობაზე, არამედ საერთაშორისო საზოგადოებაზე. როდესაც რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი იტყვის, რომ ომი ხალხმა მოიგო და ამ მოგებასთან სტალინს ან მხედართმთავრობას არაფერი აკავშირებთ, რომ სტალინი იყო სისხლისმსმელი ტირანი, აღარ უნდა გაგვიკვირდეს ფაშიზმზე გამარჯვებაში საბჭოთის როლის დაკნინება. გალატინინებული მედვედევი, მთლიანობაში რუსეთის ხელისუფლება, უშვებს წარსულის მოურიდებლად, ხელაღებით ლანძღვას, ისტორიული მოვლენების მხოლოდ ნეგატიურ ჭრილში მოხსენიებას, საეჭვო ამბების ისტორიულ ჭეშმარიტებად წარმოჩენას. როგორც ჩანს დასავლეთთან მოარშიყე რუსეთის ხელისუფლებას ეხამუშება წარსულის, მაგრამ არაფერს ამბობს იმ ფუნდამენტის შესახებ, რომელზედაც დგას. **მარტივი რამაა, როდესაც არ მოგწონს სტალინური სახელმწიფო სტრუქტურა, განზე გადადგე და ახალი ააშენე — ჭეშმარიტი დემოკრატიული არჩევნებით, უარი თქვი სახელმწიფო მართვის ვერტიკალზე, ტვერსკოის პროსპექტზე ნება დართე გეი პარადებს, ერთსქესიანთა ქორწინებას და სხვა „სიკეთეებს". და რაც მთავარია, თვალი დახუჭე ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე ტერორისტულ გამოხდომებზე, ზოგიერთთა აკვიატებულ მოთხოვნაზე დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, გზა გაუხსენი საკუთარი ქვეყნის დაქუცმაცებას, მაგრამ არა! ამდენს ხვდებიან! მყარი, მტკიცე ქვეყანა მომხიბვლელია, ოღონდ შემქმნელთა გარეშე. სწორედ ამას ჰქონდა ადგილი 2010 წლის 9 მაისს მოსკოვში. ფაშიზმზე გამარჯვების ზეიმი — მთავარი გამარჯვებულის, სტალინის გარეშე. ფაშიზმზე გამარჯვება საბჭოთა კავშირის შექმნელის გარეშე. საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელი ბელადის სასუფეველი ისე გულმოდგინედ გაახვიეს რუსეთის დროშაში კომპასითაც გაძნელდებოდა მავზოლეუმის მიგნება. ასე იცის უმადურმა შთამომავლობამ.**

ფაშიზმზე გამარჯვება ისეთ ეშხშია შესული სულ ახალ-ახალი ამბები მოდის ძველით და „ყალბით" გამოჭედილ გონებამდე. დღეს უფრო ხმამაღლა ამბობენ რეიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმმართველ უკრაინელ ბერესტზე, არც ყაზახი ჯარისკაცი ავიწყდებათ. რაც შეეხება ეგოროვ-ქანთარიას, შეთხზული ისტორია ყოფილა.

დავუბრუნდეთ ლატინინას ბრალდებას — ჰიტლერისადმი სტალინის ნდობასთან დაკავშირებით. 1939 წლის 30 ნოემბერს საბჭოთა კავშირმა ომი გამოუცხადა ჰიტლერის მოკავშირე ფინეთს. რა უძღოდა წინ ამ აგრესიას? ომის დაწყებამდე მოსკოვი დაბეჯითებით ცდილობდა ჰელსინკის დაყოლიებას მთელ რიგ საკითხთა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტაში. ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ლენინგრადიდან 30 კილომეტრში მდებარე ფინეთის საზღვრის დასავლეთში გადაწევა. სანაცვლოდ მოსკოვი ფინეთს სთავაზობდა კუნძულ ხანკოს — საზღვაო-სამხედრო ბაზისთვის, ფინეთის ყურეში არსებულ სხვა კუნძულების მიქირავებას, კარელიის ყელის გაცვლას ლადოგის ტბის რაიონში არსებულ ორჯერ მეტ ტერიტორიაში. მოლაპარაკების დასკვნით ეტაპზე თვით სტალინი ილებდა მონაწილეობას, რაც ისეთივე უცხოა დიპლომატიურ პრაქტიკაში, როგორც სტალინის მიერ სადგურში იაპონიის ელჩის გაცილება. ორივე ფაქტი აშკარად მიუთითებს სტალინის ფიქრსა და ეჭვზე, მოახლოებულ ომთან დაკავშირებით. ფინეთის მთავრობამ მხედველობაში არ მიიღო კრემლის არც ერთი წინადადება. მოგვიანებით ფინელი მარშალი და პოლიტიკოსი მანერგეიმი იტყვის — სტალინის შეშფოთებას საზღვართან დაკავშირებით ჰქონდა საფუძველი. სტალინისათვის უპირველესი ამოცანა იყო არა მარტო უსაფრთხო საზღვრების შექმნა, არამედ გარდაუვალი ომის დაწყების გადავადება.

საბჭოთა არმია ერთიორად აღემატებოდა ფინეთისას — 19 დივიზია, 7 სატანკო ბრიგადა, 450 000 ჯარისკაცი, ავიაცია — ფინეთის ჯარი 300 000 შეადგენდა. მიუხედავად ამისა მან სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია წითელ არმიას. ფინეთის ომმა გამოავლინა არაერთი ნაკლოვანება წითელი არმიისა, რაც გერმანიის ფაშიზმთან შერკინებისას იქნა გათვალისწინებული. 1940 წელს, ომის შეწყვეტის შემდეგ, გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირს გადაეცა ვიბორგი, ლ ადოგის ტბის ჩრდილო-დასავლეთის სანაპირო, დასავლეთ მურმანსკის რკინიგზა, ნახევარკუნძულები რიბაჩი და სევერნი. საერთო ჯამში ფინეთმა საკუთარი ტერიტორიის 10 პროცენტი დაკარგა. დაკარგული ტერიტორიებიდან ფინეთში 400 000 ფინელი გადასახლდა. 1941 წელს ფინელები აქტიურად იბრძოდნენ გერმანიის მხარეზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათ იმედი ჰქონდათ დაკარგულის დაბრუნების, მაგრამ ამაოდ. 1944 წელს ოფიციალური ფინეთი იძულებული იყო აღედგინა 1940 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება. ფინეთში ჩატარებული სამხედრო რეპეტიცია სწორედ მოსალოდნელი ომისთვის მზადებაზე მეტყველებს, ეს კი თავისთავად სტალინის უნდობლობაზე ჰიტლერის მიმართ.

სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ აბსტრაქტული მცნებაა — უმეთაუროდ ხალხის მიერ ომის მოგება, მით უმეტეს ეს წარმოუდგენელია ყველაზე სასტიკ მეორე მსოფლიო ომში. **კოლექტიური „ხალხი" ვერასდროს მოიფიქრებდა ჩან კაიშთან მომუშავე ჰიტლერის ყოფილ თანამებრძოლ ვალტერ შტენეცთან კავშირის დამყარებას, მის გადაქცევას საბჭოთა მზვერავად. ეს მოახერხა მხოლობით რიცხვში ლავრენტი ბერიამ.** შტენეცს, რომელსაც ინტენსიური კავშირები ჰქონდა, როგორც ჩინელ, ისე იაპონელ პოლიტიკოსებთან და დიპლომატებთან, არ გასჭირვებია ძვირფასი ინფორმაციის მიწოდება კრემლისთვის. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია შეტყობინება, რომ იაპონია არ აპირებდა 1941 წელს საბჭოთა კავშირზე თავდასხმას. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სტალინმა შორეული აღმოსავლეთიდან მოხსნა ციმბირული დივიზიები და მოსკოვთან გადმოისროლა. სტალინის ნაბიჯმა გადაარჩინა მოსკოვი დაცემისაგან. „ხალხი" ვერ მოიფიქრებდა იაპონიის ელჩის რკინიგზის სადგურში გაცილებას. სტალინის გადაწყვეტილება პრაგმატულ მოსაზრებას ემსახურებოდა — იაპონიის ხელისუფალთა სამშვიდობოდ განწყობას.

რუს ლიბერალთა განცხადებები ყოველგვარ საზღვარს სცდება. ერთმა ჟურნალისტმა დანანებით ისიც ბრძანა — ცუდია, რომ ჰიტლერი ციმბირამდე ვერ მივიდაო.

**დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულია აზრის თავისუფლად გამოხატვა, თუმცა არა ტყუილის და ზედმიწევნით მახინჯის, ვინაიდან ასეთი, ახალი სიმახინჯის წარმომშობი შეიძლება გახდეს. ჭარბი „დემოკრატია" კი ჭარბი ანარქიის ტოლფასია.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია



## ვლადიმერ პუტინმა ოსი სეპარატისტებისგან ბროვცევის თავიდან მოშორების მცდელობის შეწყვეტა მოითხოვა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ოს სეპარატისტთა ლიდერ ედუარდ კოკოითსა და ე.წ. პრემიერ-მინისტრ ვადიმ ბროვცევს შორის კონფლიქტს წერტილი დაუსვა. ამის შესახებ გამოცემა „კომერსანტი" წერს.

ბროვცევი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მოსკოვმა ფინანსური ნაკადის კონტროლისთვის გაგზავნა.

პუტინმა კოკოითისგან ბროვცევის თავიდან მოშორების მცდელობის შეწყვეტა და მისგან ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღდგენის კონცენტრირება მოითხოვა. როგორც ცნობილია რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მშენებლობასა და აღდგენით სამუშაობზე 1 მლრდ დოლარი გამოყო.

როგორც რუსეთის მთავრობაში „კომერსანტის" წყარომ გამოცემას განუცხადა, ბროვცევის მთავრობა მომავალშიც იმუშავებს, კოკოითის ადგილობრივი კადრები კი მისთვის ფეხის დადების პოლიტიკას შეწყვეტენ.

ჯი-ეიჩ-ენი

## თვითლუსტრაცია

# რაც ადრე დავაკელი „კავკასიას“...

**„კავკასიის“ „ბარიერის“ 7 მაისის გადაცემას ორი წერილი მივუძღვენი, მაგრამ მაინც გამომრჩა ქ-ნ ნინო ჯანგირაშვილის ორი საყურადღებო გამონათქვამი.**

თუ როგორ დააჭერინა ქ-მა ნინო ჯანგირაშვილმა პოლიციის პირადი მითითებით ახალგაზრდა, რომელიც კამერით ხელში სტუდიაში განვითარებულ მოვლენებს აფიქსირებდა (ჩხუბში კი საერთოდ არ მონაწილეობდა!) და როგორ გაანთავისუფლებინა მანვე ჩხუბისთვის დაკავებული სტუდიის ოპერატორი, ოღონდ საკუთარი ძმისშვილი(!), ეს ყველამ ვიხილეთ ტელევიზიით.

ჟურნალისტმა ჯანგირაშვილმა დააპატიმრებინა ადამიანი, რომელიც ოპერატორის, იგივე ჟურნალისტის ფუნქციას ასრულებდა! ანუ ჟურნალისტმა ფაქტობრივად ჟურნალისტი დააჭერინა, თანაც ცრუ ჩვენებით! ჟურნალისტისთვის თავისმომჭრელ და აქამდე გაუგონარ ამ საქციელს, მან არანაკლებ გასაოცარი და, მისდაუნებურად, საკუთარი თავის გამოსამჟღავნებელი განცხადებაც დაურთო: **„მე იმ ბიჭის დაპატიმრება კი არ მინდოდა, მე კამერა მაინტერესებდა.** პოლიციელებმა კი ვერ ივარგეს და იმ ბიჭმაც კამერის სხვისთვის გადაცემა მოასწროო“.

ჯერ ერთი, განცხადებით დასტურდება, რომ ეს ახალგაზრდა აბსოლუტურად უდანაშაულოა (აბა, მას სტუდიის რომელიმე ოპერატორისთვის ცხვირი რომ გაეტეხა, მაშინ ამგვარ განცხადებას ხომ არ გააკეთებდა ქ-ნი ნინო!) და, რაც მთავარია, თურმე, ჯანგირაშვილის მთავარი სამიზნე კამერა, ანუ კამერით დაფიქსირებული კადრები ყოფილა! უცნაურზე უცნაურია, აბა რა არის, კაცს (ქალს) საკუთარ სტუდიაში რამდენიმე პროფესიონალი ოპერატორი გყავდეს და შენ ვიღაცის სამოყვარულო კამერის ხელში ჩასაგდებად თავს იკლავდე, და ამისთვის უდანაშაულო კაცსაც ციხისთვის იმეტებდე! ჯანგირაშვილმა შესანიშნავად იცოდა – მისი ოპერატორები გადაღების ნაცვლად ჩხუბში რომ იყვნენ აქტიურად ჩართულნი და სწორედ ამის შესაძლო დაფიქსირება-გამომზეურება არ აწყობდა მას!

განა ჩვენი „სანაქებო“ პოლიცია და სპეცრაზმები იმავე მიზნით არ ართმევენ (ზოგჯერ, უმტვრევენ კიდეც!) ჟურნალისტებს კამერებს, რათა პროტესტანტების დარბევის ამსახველი კადრები არ გავრცელდეს?! ჰოდა, აბა რით განსხვავდება ჯანგირაშვილის ნაბიჯი პოლიციელების ანალოგიური ქმედებებისგან? მხოლოდ იმით, რომ ჯანგირაშვილს „დუბინკა“ არ ეჭირა ხელში!

„ბარიერის“ პროვოკაციულ გადაცემას და შვიდი ახალგაზრდის უსამართლო დაკავებას, როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ყოვლად უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა – ვერ გაუძლო ერთ-ერთი მშობლის გულმა და 9 მაისს პოლიციის სამმართველოსთან, ნერვიულობის ნიადაგზე გულის შეტევისგან უეცრად გარდაიცვალა დაკავებული ზვიად ბლიაძის მამა – გივი ბლიაძე. აქ ჯანგირაშვილის კიდევ ერთი, კათცმოყვარეობით გამსჭვალული ნათქვამი უნდა გავიხსენო, როდესაც ათი კაცის „ნაცემი“ დავით აქუბარდია შემოვარდა სტუდიაში (ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ნაცემობის მას არაფერი ეტყობოდა, ეტყობა ყველას მოერია, თორემ ათიდან ერთმა მაინც როგორ ვერ დააჯინა „ფანარი“?!): **„რა დღეში იქნება დათოს დედა ამის შემხედვარეო“!** პირველი ვინც იყო, დედამთილი გაახსენდა აქუბარდიას რძალს – ჯანგირაშვილის ქალს, უყვარს ალბათ და რა გინდათ, რას ვერჩით ამ პატიოსან ადამიანს! არც არაფერს, მისაბაძიცაა (თუ გულწრფელად უყვარს, რა თქმა უნდა, და არა – სატელევიზიოდ!), მაგრამ „ვეფხის დედა“ – პოლიციის ჯურღმულებში გაშვებული უდანაშაულო ქრისტიანების დედები რატომ არ გაახსენდა ამ კაი დედმამიშვილს?! ან გივი ბლიაძის დედას რას ეტყვის?! როგორ გგონიათ, მსგავსი კითხვები „სიროზის“ დამცველთაგან რომელიმეს დაებადება?!

შეიძლება (გამორიცხული ნამდვილად არ არის), თავად „საიდუმლო სიროზის“ ავტორი, ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე და მსოფლიო პოლიტიკის გაიძვერობაში ჩაუხედავი, არმცოდნე 19 წლის დეისაძე ბოლოს და ბოლოს გონს მოეგოს და როცა კარგად გაერკვევა ვინ ვინ არის, ცოდვებიც გულწრფელად მოინანიოს (ისე, გამოთქმა – „არცოდნა არცოდვააო“, მისი „თხზულებიდან“ გამომდინარე მხოლოდ ნაწილობრივ მიესადაგება ამ ცოდვიშვილს!), მაგრამ არა მგონია (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე!) უკვე ჩამოყალიბებულ, ზრდასრულ „ლიბერასტებს“ – თევზაძე-მინდიაშვილ-რამიშვილ-დარჩიაშვილ-თუთბერიძე-ბულაძეებს აწი რამე ეშველოს! ისე, რაღა პედაგოგი-მამა ბულაძე – „სახეში სადიპლომო ფურთხების“ „თავისუფალ ხელოვნებად“ შემფასებელი, და რაღა მწერალი-შვილი ბულაძე – „სულში საჯაროდ ჩაფურთხების“ „სიტყვის თავისუფლებად“ შემფასებელი!

იმდენი ფული ჩვენ არ გვაქვს, რომ მათ მამა-მარჩენალ სოროსს „გადავუჯოკროთ“ და ეს ხალხი „მოვთაფლოთ“, არც მათთვის მამაპაპური გალაწუნების (ფართო გაგებით!) უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს, შეგონება და ნამუსზე შეგდება კი, სამწუხაროდ, მათზე ისევე ჭრის, როგორც მგლის თავზე სახარების კითხვა! ანდა როგორ უნდა გაჭრას, როცა **სწორედ სახარება და მართლმადიდებლური ეკლესია აქვთ ამოღებული დასასამარებელ მიზანში** და ერთმანეთს ეჯიბრებიან ჩვენთვის სამარცხვინო, მაგრამ დასავლეთისთვის ერთობ მოსაწონ „ლიბერასტობაში“.

ფულზე დახარბებული ჩვენი გამყიდველი ხელისუფლების უზნეობას, ადრე თუ გვიან (არჩევნებით ან აჯანყებით), ეშველება, მაგრამ ჩვენი შვილების აღმზრდელი, სინამდვილეში კი იქეთ აღსაზრდელი ზოგიერთი პედაგოგ-მწერლის უზნეობას როგორ, რა საშუალებებით ვებრძოლოთ, მხოლოდ „თავისუფალი სიტყვის“ ძალით? ეყოფა კი ასეთი „ლიბერალური“ ძალა მათ გადაბრუნებულ ტვინებს და გაბინძურებულ სულებს?!

**იაკობ ლეჟავა.**
20 მაისი, 2010



## ვწეროთ და ვიკითხოთ?!

# „ყელი გვიშრება, გიგი, წყალი, წყალი!“

**ზამთარში რომ არ ამოდიოდა წყალი „ალექსანდრეს ბაღის“ შადრევნებში, ვამბობდით, ზამთარია და, ჯანდაბასო, მაგრამ ახლა, როდესაც ზაფხულის სიცხე მოეძალა თბილისს და ბაღში უამრავი დიდ-პატარა სეირნობს, ან ძელსკამზე ისვენებს, რა გასაკვირია, რომ წყლის დალევაც მოუნდეთ ხოლმე, ჰოდა, ვერ გაგვიგია, როდისღა უნდა გაუშვას შადრევნებში წყალი თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა?!**



„რა ვქნა ახლა, ყელი მიშრება, ერთი ყლუპი წყალი მომარჩენს, მარა სადაა, სულ ტყუილა მივეცი ხმა არჩევნებში „ნაცმოძრაობას“! – ბუზღუნებს ვახო... ვახოს თენგო ჰყვება: – ანდა, ერთი ტუალეტის აშენება რა გახდა, კაცო, მილიონები ჩაყარეს ამ ბაღში, ვხედავდით 26 მაისს, რუსთაველიდან რომ ჩამორბოდნენ და ბაღის კიდეებზე აშარდავდნენ ავტომატიანი ჯარისკაცები?! დაწერე, თუ ძმა ხარ, დაწერე, იქნებ წაიკითხოს ახლად არჩეულმა მერმა!..

– რამდენჯერ დავწერე... ვის ესმის!..

ა, ბატონო, ვნახოთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## მუზეუმის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა

# გაცოცხლებული წარსული...

**სენაკის მხარეთმცოდნეობისა და ჟიული შარტავას მუზეუმებში გაიმართა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა მუზეუმების საერთაშორისო დღეს და სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსებიდან 20 წლისთავის იუბილეს.**

ღონისძიება გახსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა რეზო ჯანჯღავამ.

დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელებისა და მოამაგეების კალისტრატე შარტავას, ლერი თათარაშვილის, მისი პირველი დირექტორის აპოლონ ბერაიას ხსოვნას.

ჟიული შარტავას მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა მარინე აბრალავამ იუბილარი მუზეუმების მუშაკებს მიულოცა ღირსსახსოვარი თარიღი, პროფესიული წარმატებები უსურვა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მათ. აღსანიშნავია, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველის გრიგოლ ანთიას ინიციატივით საფუძველი დაედო სენაკის თითოეული კუთხისა თუ სოფლის ისტორიის, კულტურის, ფოლკლორისა თუ ტოპონიმიკის შესწავლის ციკლს „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“. ამჟამად მან დამსწრეთ წარუდგინა ზანის საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ მოკვლეული მასალები ზანის თემის ისტორიის შესახებ, მოსწავლეებმა მიმოიხილეს თავიანთი სოფლის ტოპონიმიკა, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრება, გასული საუკუნეებიდან დღემდე. მისასალმებელი იყო, რომ სწორედ მოზარდთა მოკვლევის შედეგად მიიღო საზოგადოებამ ინფორმაცია არაერთ ყურადსაღებ ისტორიულ ფაქტზე. მათს კვლევაში დიდი შრომა ჩადეს ზანის საჯარო სკოლის დირექტორმა რომან კვაშილავამ და ამავე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ინგა ვარდიამ.

გამოსვლების პარალელურად მოეწყო მოკვლეული მასალების პროექტირება.

ღონისძიების დასასრულს, განხილული ისტორიული მასალების მნიშვნელობაზე ისაუბრეს სენაკის განათლების, კულტურის და სხვა სფეროების წარმომადგენლებმა.

ღონისძიების ბოლოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-მუშაკმა ლალი გულუამ და ზანის თემის ბიბლიოთეკარმა დოდო გვაძაბიამ დამსწრეთ წარუდგინეს გამოფენა ორ თემად: „გაცოცხლებული წარსული“ და „ზანა და ზანელები“.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ. სენაკი**

## ინფორმაცია




# ბიზნესზე შეღავათების დაწესება სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს

**თბილისის ახლადარჩეული მერის გიგი უგულავას განცხადებით, მცირე და საშუალო ბიზნესზე შეღავათების დაწესება გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს**

**– ძალიან მნიშვნელოვანია რეალური გრძელვადიანი სამუშაო ადგილების შექმნა, ამ კუთხით ჩვენი მოქალაქეები, ხშირად ბევრ პრობლემას აწყდებოდნენ, რადგან ადამიანები, რომლებიც სახლში რაიმეს აცხობდნენ და შემდეგ ყიდდნენ, საგადასახადოსთან პრობლემები ექმნებოდათ. ჩვენ ქვეყანაში საგადასახადო სისტემაში პირველად შემოვიღებთ დიფერენცირებას, კერძოდ კი 30 ათასი ლარი ბრუნვის ქვემოთ სუბიექტი აღარ დაიბეგრება, ანუ ნულოვანი განაკვეთი ექნება. უბრალოდ ის, როგორც მეწარმე სუბიექტი დარეგისტრირდება. ასევე შეღავათებით ისარგებლებენ 200 ათასი ლარის ბრუნვამდე მეწარმე სუბიექტები, რომელთაც დღგ-ს გადახდა და ბუღალტრულ ლაბირინთებში გარკვევა აღარ მოუწევთ, – განაცხადა უგულავამ ჟურნალისტებთან საუბრისას.**

**თბილისის მერის თქმით, ეს მისი მხრიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რადგან ადამიანები, რომელთა ძირითად შემოსავალს მცირე ბიზნესი წარმოადგენდა, განთავისუფლებული იყვნენ ყოველგვარი პრობლემებისგან.**

ჯი-ეიჩ-ენი

ბევრი ვეცადე შენთვისა...

# მეწარმეთა გატყავების ულტრა-თანამედროვე ინსტრუმენტი



**კოდექსში შეტანილი ცვლილებები კანონის მსახურებმა საკუთარ ინტერესებს მოარგეს**

**წინასაარჩევნო დღეებში სატელევიზიო არხებიდან დაპირებების ისეთი ნიაღვარი წამოვიდა, ლამის ქვეყანა ერთიანად წალეკა. სააკაშვილი რომ სააკაშვილია, ტყუილი დაპირებების მსოფლიოში აღიარებული დიდოსტატი, ისიც კი განცვიფრებული იყო, ჩემი პრეზიდენტობის მთელ პერიოდში ვერ შევძელი სიცრუის ისეთი მარაგის დაგროვება, რაც ამათ (ოპოზიციას გულისხმობდა) ბოლო ორ-სამ თვეში მოახერხესო. ქვეყნის მეთაური იმდენად აღფრთოვანებული ჩანდა ამ „სასწაულით", რომ, როგორც თვითონ განაცხადა, მზად იყო საკუთარი ჰალსტუხი მეორედაც შეეჭამა(!).**

ალბათ, მალევე გამოჩნდება როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციური პარტიები რა სიტყვის პატრონებიც არიან, როგორ შეასრულებენ ისინი თავიანთ მთავარ დანაპირებს – ხალხის დასაქმების, ეკონომიკის აყვავების, სიღარიბის დაძლევის, ქვეყნად სამართლიანობისა და ადამიანური ღირსების დაცვის პროგრამებს. მანამდე კი რედაქციაში შემოსული ზოგი წერილის მიხედვით იმის თაობაზე გვინდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა, რა პირობებში უხდებათ მუშაობა სადღეისოდ უკვე დასაქმებულ ადამიანებს.

– დიდი ვაივაგლახის შემდეგ, როგორც იქნა სამუშაო ვიშოვე, მაღაზიებში პურის მიმტანად, ანუ დისტრიბუტორად დავიწყე მუშაობა, – იწერება თბილისელი **შოთა გობრონიძე,** – მაგრამ ვაი ასეთ მუშაობას, ერთთავად გულის კანკალში ვარ, საგადასახადოელებმა სადმე რაიმე დანაშაულზე არ წამასწრონ, უფრო სწორად, შარი არ მომდონ, ფული არ წამგლიჯონ და ცოლ-შვილი მშიერმწყურვალი არ დამიტოვონ. ვინც არ იცის, რა ხდება ამ სფეროში, ალბათ, გაუკვირდება, იფიქრებს, საგადასახადო სამსახურის მუშაკებს მეტი საქმე არა აქვთ, პურის დისტრიბუტორებს სდიონ კუდში შარის ასატეხადო? ასეა და რა ვქნა. მათი პოზიცია გასაგებია, თუ მეწარმეები არ დაატერორეს და გაზრდილი ჯარიმების წყალობით საბიუჯეტო დეფიციტი არ ამოავსეს, თავად დაკარგავენ სამუშაოსაც და პირად შემოსავლებსაც.

ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ. ხელისუფლებამ იმ მიზნით, რომ მეწარმეებისთვის რაღაც შეღავათიანი პირობები შეექმნა, საგადასახადო კოდექსის 97-ე და 143-ე მუხლებში ცვლილებები შეიტანეს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეს ცვლილებები საგადასახადო სამსახურმა სათავისოდ მოირგო. ახალი კანონი მეწარმეებზე ფულის შეწერისა და მათი გატყავების ინსტრუმენტად აქცია. სწორედ ამაზეა ნათქვამი – ბევრი ვეცადე შენთვისა, გამომივიდა ჩემთვისაო.

მოკლედ, ვერც მეწარმეებმა და ვერც დისტრიბუტორებმა კანონში ცვლილების შეტანის შედეგად შვება ვერ ვიგრძენით, პირიქით, ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაგვიმძიმა. ახლა დისტრიბუტორებს, რომლებიც კაპიკებზე მუშაობენ, ორ და სამ ცალ გამოცვლილ პურზე ათასი და 5 ათასი ლარით ისე აჯარიმებენ, თვალსაც არ ახამხამებენ. ბევრმა ფირმამ თავიდან აირიდა პასუხისმგებლობა და მაღალი ჯარიმები დისტრიბუტორებს შეატოვა. ინგრევა ოჯახები, ბევრმა ჩემმა კოლეგამ უკვე მიატოვა სამსახური.

საგადასახადოელებმა ოღონდ ჯარიმები ამოიღონ და არაფერს თაკილობენ. ისინი უთანხმდებიან ცალკეული მაღაზიების მესვეურებს, ოღონდ დისტრიბუტორი დაგვაჭერინეთ და თქვენ აღარ დაგაჯარიმებთო. ჩემთვის გაუგებარია, თუ ჯარიმები კანონის მიერ აღურიცხავ საქონელთან დაკავშირებით არის დაწესებული, ის მაღაზიაში ასეთი საქონლის შეტანის შემდეგ უნდა ფიქსირდებოდეს და არა მანამდე. სამწუხაროდ, როგორც უკვე ვთქვი, კანონს სათავისოდ ირგებენ და მხოლოდ ერთ მხარეს აჯარიმებენ, რაც ორმაგი დანაშაულია და გარიგების სუნიც უდის.

ასე როდემდე შეიძლება გაგრძელდეს? – კითხულობს დისტრიბუტორი გობრონიძე. მისი აზრით, მიუღებელია საგადასახადო საქმეში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება, რაც პრეზიდენტის ინიციატივით ხორციელდება. მცირე გადაცდომისგან არავინ არის დაზღვეული და თუ ამისთვის მეწარმეს ან დისტრიბუტორს ჯარიმის სახით ათასები წაგლიჯე და ბიუჯეტი ამის ხარჯზე შეავსე, რიგითმა ადამიანებმა როგორღა იმუშაონ ან ოჯახი როგორ არჩინონ?

ერთგვარად სენსაციურად შეიძლება აღვიქვათ წერილი, რომელიც გაზეთის რედაქციას ავტომფლობელმა **გიგა პაპუნაშვილმა** გამოუგზავნა. აი, რას იწერება:

– ამორიოდე დღის წინათ, კახეთიდან დედაქალაქში რომ ვბრუნდებოდი, მშობლიურ სოფელში თვალი ვკიდე ქუჩაში გამოკრულ აბრას: მსუბუქი ავტომანქანების რეცხვა 5 ლარად.

ბიჭოს, კარგად მოუფიქრებიათ, გავივლე გულში, თბილისამდე ჭუჭყიანი ავტომობილით რატომ ვიმგზავრო, როცა აქვე შეიძლება გავარეცხინო, თანაც ნახე რა იაფად(!). ქალაქში ჩემნაირი ჯიპის გარეცხვას 15 თუ არა, 12 ლარი მაინც უნდა. ტარანი ანგარიშით არ არის?

თავი რომ არ შეგაბეზროთ, მოკლედ ვიტყვი. მე ჩემი „ლურჯა" სასწრაფოდ სამრეცხაო ფარდულში შევაგდე, იქ დამხდურმა ბიჭებმა კი ასევე სასწრაფოდ მოიმარჯვეს წყლის ჭავლით გაბერილი შლანგები და ჯიპი ისე საგულდაგულოდ აჭყუმპალავეს, მტვრის ნასახიც აღარ შეარჩინეს. შედეგით კმაყოფილმა მრეცხავებს 5-ლარიანი გავუწოდე და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ვინ გამოგიშვა.

– მოითმინეთ, – მითხრეს თავაზიანად, – ახლავე ქვითარს მოგართმევთ.

– არ არის საჭირო, – ვიუარე, – თანაც მეჩქარება.

– თქვენ გეჩქარებათ, ჩვენ კი შარში გინდა გაგვხვიოთ?

– რა შარში, რის შარში, – გავნაწყენდი, – საიდან რა მოგეჩვენათ?

– არაფერიც არ მოგვეჩვენა. საგადასახადო აქვე, ამ ქუჩის მოსახვევშივეა ჩასაფრებული, თქვენი სამრეცხაოდან გასვლა და მათი თავდასხმა ერთი იქნება. ეგ კი არა, პირადობის მოწმობაც უნდა გვიბოძოთ, თორემ ისე ქვითარს ვერ გამოვწერთ.

– პირადობის მოწმობა? – დავაღე პირი.

– ჰო, რა გიკვირთ, ქვითარში პირადობის ნომერი თუ არ ჩაიწერა, საგადასახადო ინსპექცია კანონის დარღვევად ჩაგვითვლის და ხუთიათასლარიანი ჯარიმით „წაგვახალისებს". ეს იმას ნიშნავს, სამრეცხაო დავკეტოთ და მეორედ ვეღარ მოგემსახუროთ.

მაინც იაფად გადავრჩი, ვფიქრობდი გზაზე მომავალი, კიდევ კარგი დაბადების თარიღი არ ჩაიწერეს ან მამის სახელით არ დაინტერესდნენ, რაც პირადობის მოწმობაში არ არის აღნუსხული, თორემ ხომ დავილუპებოდი(!). თუმცა ნაადრევია გადარჩენაზე ლაპარაკი. ჯერჯერობით დედაქალაქში ავტომობილის გარეცხვისას პირადობის მოწმობას არ თხოულობენ, მაგრამ მალე, ალბათ, თელაველ საგადასახადოელთა გამოცდილებას აქაც გადმოიღებენ. მერე იმითაც დაინტერესდებიან, მანქანების გასარეცხად ფულს საიდან ვშოულობ ან სხვა რაიმე „დარღვევას" გამოგიძებნავენ და კაი ბლომა ჯარიმას აგკიდებენ. განა ასე არ არის, პატივცემულო ჟურნალისტებო? – გვეკითხება ავტომფლობელი პაპუნაშვილი.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ, ბატონო გიგა, ნამეტანი თუ შევუტიეთ ხელისუფლებას (რაც მას ისედაც არ აკლია), შეიძლება თავიც იმართლოს – მგლური საგადასახადო კანონი იმიტომ მაქვს, რომ ქვეყანაში თითოოროლა კაცი მყავს დასაქმებული და იმათაც ტყავი თუ არ გავაძრე, ბიუჯეტი შეუვსებელი დამრჩებაო. აი ვნახოთ, აწი რაღას მოიმიზეზებს, როცა მთავრობა დაპირებისამებრ უმუშევრობას ისე შეებმება, რომ დაუსაქმებელს კაციშვილს აღარ გააჭაჭანებს. იტყვის, კიდევ ერთხელ მოვიტყუეო? არა მგონია, მას ხომ ტრაბახის გარდა სხვა არაფრის კეთება შეუძლია.

**ოთარ ხუციშვილი**

ავიაგადაზიდვები

# ერთიანი საჰაერო ბაზრის შესაქმნელად

***საერთოევროპულ საჰაერო სივრცეში ქვეყნის სრულფასოვნად ინტეგრირება, რაც ავიაგადაზიდვების უსაფრთხოებასა და უშიშროებას, მგზავრთა და გარემოს დაცვას, საჰაერო მიმოსვლას, მენეჯმენტსა და ეკონომიკურ რეგულირებას, თავისუფალი კონკურენციის ხელშეწყობასა და სოციალური საკითხების გადაწყვეტას გულისხმობს – ესაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის საჰაერო გადაზიდვების სფეროში ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების არსი. ცოტა ხნის წინათ პარაფირებული შეთანხმების თანახმად, მხარეების მიერ ერთმანეთისთვის სამომხმარებლო ბაზრების გახსნა ახალ სასიკეთო პერსპექტივებს გაუხსნის როგორც ავიაოპერატორებს, ასევე, ცხადია, მგზავრებს, თუმცა მანამდე, ევროკავშირის ქვეყნების ავიაბაზრებზე სრულად ინტეგრირებისთვის საქართველომ ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისად საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზება უნდა მოახდინოს და ქვეყანაში შემოიღოს ევროკავშირში მიღებული წესები ზემოაღნიშნულ სფეროებში.***



ბოლოდროინდელი საკმაოდ ხანგრძლივი სამრაუნდიანი მოლაპარაკებების შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერიდან ორი წლის მანძილზე, საჰაერო გადაზიდვების წესების საფუძველზე, კერძოდ, ერთიანი საჰაერო სივრცე ჩამოყალიბდება, რომლის მთავარი პრიორიტეტი საავიაციო უშიშროება და უსაფრთხოება იქნება. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ხელშეკრულება ამჟამად ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტშია გადაგზავნილი, ხოლო მისი ხელმოწერის შემდგომ დაიწყება დოკუმენტის რატიფიცირება. ამ პროცედურებს, ცხადია, ქართული მხარე თავის მხრივ ჩაატარებს. აღსანიშნავია, რომ მრავალმხრივი, ფაქტობრივად, ყოვლისმომცველი საავიაციო მომსახურების თაობაზე შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური, სავაჭრო და საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებული ურთიერთობებისთვის. ყველაფერი ერთიანად, ბუნებრივია, ვერ განხორციელდება, მაგრამ თანდათანობით, ეტაპობრივად, მიღწეული შეთანხმების პროლონგირებული მოქმედების პირობებში, საქართველო შეძლებს საერთოევროპულ საავიაციო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულება როგორც საქართველოს, ასევე ყველა ევროპულ ავიაკომპანიას ნებისმიერი ქალაქიდან საქართველოში პირდაპირი გადაზიდვების განხორციელების შესაძლებლობას მისცემს, რასაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ავიარეისების ოდენობაზე შეზღუდვის მოხსნა და ფასების ურთიერთშესაბამისობა. ამის ერთგვარ გარანტიად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირსა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან დადებული მსგავსი ტიპის ხელშეკრულებები, რომელთა ფრთაშესხმას დადებითი შედეგი მოყვა და ამ სტრატეგიული გეზის გაგრძელებას იგი სხვა სახელმწიფოების მიმართაც გეგმავს.

ამჟამად ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის ყველა ავიაოპერატორისთვის საჰაერო გადაზიდვების ბაზარზე ერთიანი თანასწორუფლებიანი კონკურენციის პირობებია შექმნილი, სადაც სამართლიანი წესების მოქმედება უსაფრთხოების მაღალი ხარისხის გარანტიაა. უფრო შორს გამიზნული სტრატეგია კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეზობელ, კერძოდ, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საჰაერო ბაზრისა და, შედეგად, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების მოცულობის გაზრდას ისახავს მიზნად. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი სწორედ აღნიშნული შეთანხმება გახლავთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

### ინფორმაცია თემაში

***ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან – ავსტრიასთან, გერმანიასთან, საბერძნეთთან, საფრანგეთთან, ლატვიასთან, ლიტვასთან, ნიდერლანდთან, პოლონეთსა და ჩეხეთთან საავიაციო სამგზავრო გადაზიდვები წლიურად საშუალოდ 10 პროცენტით იზრდებოდა, ხოლო სატვირთო – დაახლოებით 26 პროცენტით.***

***საერთოდ კი, საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული ევროპის ქვეყნებში საჰაერო სამგზავრო გადაზიდვები 50 პროცენტით გაიზარდა, ყოველწლიურად 8,5 მილიონი ავიარეისი სრულდება. შესაბამისად, იმძლავრა მგზავრთა ნაკადმა, რომელთა რიცხვმა დაახლოებით 700 მილიონ კაცს მიაღწია.***

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არჩევნები საქართველოში – ტრიუმფი სააკაშვილისთვის

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მმართველმა პარტიამ საქართველოში გამოსასვლელ დღეებში გამართულ არჩევნებზე მოიპოვა გამარჯვება. ეს გახდა მისთვის პირველი საარჩევნო გამოცდა 2008 წლის რუსეთთან კატასტროფული ომის შემდეგ**

საერთაშორისო მეთვალყურეები და ადგილობრივი კრიტიკოსები საუბრობენ, რომ შედეგები ძირითადად მისაღებია, მიუხედავად მრავალრიცხოვანი საჩივრებისა მმართველი პარტიისადმი მხარდაჭერის და არჩევნებზე დარღვევების გამო. გამოცხადება დაბალი იყო, დედაქალაქ თბილისში და ზოგიერთ დიდ ქალაქში იგი 50 პროცენტზე ნაკლებს შეადგენდა.

თბილისის მერობის პოსტისთვის გამართულ რბოლაში მოქმედმა ქალაქის უფროსმა და სააკაშვილის მომხრემ გიგი უგულავამ დააგროვა ხმების 55 პროცენტი. საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი გაეროში ირაკლი ალასანია, რომელიც ოპოზიციის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია 8 კანდიდატს შორის, დიდად ჩამორჩა ლიდერს და ფინიშზე მივიდა მეორე, მიიღო ხმების მხოლოდ 19 პროცენტი.

მუნიციპალური არჩევნების მსვლელობაში, რომელიც გაიმართა ამ ერთ ციცქნა ქვეყანაში 4,5 მილიონი მოსახლეობით, სააკაშვილის პარტიამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მოაგროვა, როგორც ჩანს, ხმების დაახლოებით 60 პროცენტი. „საბოლოო შედეგი არის ის, რომ საქართველოში გაიმარჯვა დემოკრატიამ", – განუცხადა სააკაშვილმა თავის მომხრეებს, როდესაც ცნობილი გახდა კვირის კენჭისყრის შედეგები.

მაგრამ კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ასეთი შედეგი მნიშვნელოვნად აიხსნება ოპოზიციის გათიშულობით, რომელმაც ვერ შეძლო დაესახელებინა ერთი კანდიდატი, თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვან თბილისის არჩევნებში, და არა სააკაშვილის პოპულარობით, რომელმაც სერიოზული ზარალი განიცადა სკანდალების მთელი სერიების შედეგად.

„ეს მნიშვნელოვანწილად არის იმის მაგალითი, თუ როგორ ირჩევს ხალხი ცნობილ ეშმაკს, ვინაიდან ეშინია, რომ სხვები აღმოჩნდებიან უარესები, – ამბობს მოლაპარაკებისა და კონფლიქტების თბილისის საერთაშორისო დამოუკიდებელი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი. – სააკაშვილის ყველაზე ძლიერი მხარე – ეს არის ოპოზიციის არაორგანიზებულობა და არაეფექტიანობა, რასაც იგი აწყდება ყოველ ნაბიჯზე".

კენჭისყრის პროცესს აკონტროლებდა თითქმის 5 ათასი საერთაშორისო მეთვალყურე, და მათმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ეს საქართველოსთვის იყო ნაბიჯი წინ, ვინაიდან სააკაშვილი დრო და დრო მიმართავს ავტორიტარულ მეთოდებს თავისი ხელისუფლების შესანარჩუნებლად.



„მუნიციპალურმა არჩევნებმა თბილისში წარმოაჩინა აშკარა პროგრესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობის საქმეში, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრაც აუცილებელია", – ნათქვამია მეთვალყურეების მოხსენებაში.

„მიუხედავად ამისა, საზოგადოების საარჩევნო პროცესისადმი ნდობის დაბალი დონე შენარჩუნებულია, – ნათქვამია მოხსენებაში. – აუცილებელია შემდგომი ძალისხმევა მრავალჯერ განმეორებული დარღვევების გადაჭრით დაძლევისთვის, რათა განმტკიცდეს მიღწეული შედეგები და გაიზარდოს საზოგადოების ნდობა შემდგომი საერთოეროვნული არჩევნების წინ".

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ოპოზიციის ლიდერებს სერიოზული ზიანი მიაყენეს მრავალრიცხოვანმა ხმებმა და წინადადებებმა იმის შესახებ, რომ მათ უხდის კრემლი, რომელიც არ მალავს თავის ზიზღს სააკაშვილისადმი.

როდესაც ცნობილმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა ნინო ბურჯანაძემ მარტში მოსკოვში იმოგზაურა, რათა განეხილა ურთიერთობათა გაუმჯობესების პირობები, რაც დაკავშირებულია მთავრობასთან, ქართულმა ტელეარხმა აჩვენა ფალსიფიცირებული დოკუმენტური ფილმი, რომლის ავტორებიც შეეცადნენ ზიანი მიეყენებინათ ოპოზიციის ამ წარმომადგენლისთვის და ეჩვენებინათ, რომ იგი კრემლის სამსახურში იმყოფება.

„ოპოზიცია გარკვეული თვალსაზრისით შეშინებულია და იძულებულია თავი დაიცვას მისთვის „რუსი აგენტურის" იარლიყის მიწებების კამპანიის გამო, – ამბობს ხუციშვილი. – მის წარმომადგენლებს უწევთ იფიქრონ დაფინანსების ყველა წყაროსა და ყველაფრის გაშიფვრასთან დაკავშირებით, იძულებული არიან მუდმივად ეწეოდნენ თავის მართლებას".

ოპოზიციის ყველაზე პერსპექტიულმა ლიდერმა ალასანიამ აღიარა თავისი დამარცხება თბილისში და მომხრეებს უთხრა, რომ დროა დაიწყონ მზადება პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნების შემდეგი ციკლისთვის, რომლებიც უნდა გაიმართოს დაახლოებით ორი წლის შემდეგ.

„ამომრჩევლებმა ჩვენ ერთ-ერთ საკვანძო პოლიტიკურ ძალად მიგვიჩნიეს, – განაცხადა ალასანიამ. – როდესაც ასეთი მხარდაჭერა გვაქვს, ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის, საარჩევნო სისტემის გამჭვირვალობის გაძლიერებისთვის... პარლამენტის არჩევნების (2012 წელსძ მოახლოებასთან დაკავშირებით ჩვენ მნიშვნელოვანი გამოცდა გველის".

შარშანდელისგან განსხვავებით, როდესაც ოპოზიციონერები რამდენიმე თვის განმავლობაში აწყობდნენ ქუჩებში დემონსტრაციას ამაო მცდელობით შეეცვალათ სააკაშვილი, დღეს, როგორც ჩანს, პროტესტს აღარავინ აპირებს.

„არჩევნები იყო დემოკრატიული და ვერც ერთი პარტია, თუნდაც ყველაზე რადიკალური, ვერ დასდებს ბრალს ხელისუფლებას რაიმე დიდ მანიპულაციებში, – ამბობს პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე ირინა სარიშვილი-ჭანტურია, რომელიც დღეს ზომიერი ოპოზიციური მოღვაწეა, – მაგრამ არჩევნების დემოკრატიული ხასიათი თავისთავად როდი ნიშნავს,რომ ჩვენ არავითარი პრობლემები აღარ გაგვაჩნია დემოკრატიასთან დაკავშირებით. ოპოზიცია გათიშულია, ხელისუფლება კი იძლევა ცრუ დაპირებებს".

„ჩვენ წინ უნდა ვიმზირებოდეთ და კვლავ დავადასტუროთ ჩვენი სიმტკიცე, მივაღწიოთ ვითარების გაუმჯობესებას".

THE CHRISTIAN SCIENCE MONITOR

# ძლიერი კაცი თბილისში

**ქართული ოპოზიცია ცდილობდა მოეპოვებინა თბილისის მერის პოსტი, რათა გაეუმჯობესებინა თავისი სახე 2013 წლის პრეზიდენტის არჩევნებისთვის. მაგრამ, როგორც ჩანს, მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, სააკაშვილის პოზიციები არც თუ ისე ცუდია**

ერთი წლის წინათ ოპოზიცია აწყობდა მიტინგებს, რომლებიც თვეობით გრძელდებოდა, სურდა აეძულებინა პრეზიდენტი, რომ გადამდგარიყო. მისმა ერთ-ერთმა ბრალდებამ მოქმედი პრეზიდენტის მისამართით თავისი დადასტურება მოიპოვა ევროკავშირის დამოუკიდებელი კომისიის დასკვნებში, რომელმაც მიიჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთში გადალახა ზღვარი, რის შემდეგაც ცალკეული შეტაკებანი ომში გადაიზარდა. ოპოზიცია ასევე ბრალს სდებს სააკაშვილს იმაში, რომ მან თბილისში აიშენა ახალი პრეზიდენტის სასახლე, რომლის მშენებლობა 200 მილიონი დოლარი დაჯდა.

ოპოზიციის შარშანდელი გამოსვლების შედეგად სააკაშვილი დათმობაზე წავიდა. ის დათანხმდა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა გადანაწილებას პარლამენტისა და მთავრობის ხელმძღვანელის სასარგებლოდ, მაგრამ ეს შესწორებანი ძალაში შევა მხოლოდ 2013 წელს, პრეზიდენტის მორიგი არჩევნების შემდეგ, რომლებშიც, კონსტიტუციის თანახმად, იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ ოპოზიციონერებს ეშინიათ, რომ სააკაშვილი პოლიტიკიდან არ წავა და, როგორც „მისი მოსკოველი მტერი პუტინი", დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს ახალი, უფრო ფართო უფლებამოსილებით.



მეორე დათმობა იყო თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები. მაგრამ მას შემდეგ საპროტესტო მოძრაობა მინელდა, საზოგადოებრივ ტელეარხებს კი აკონტროლებს სააკაშვილის ხალხი. ამას გარდა, ოპოზიცია საუბრობს ამომრჩეველთა დაშინების შესახებ.

არჩევნების შედეგი ერთმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: გაიმარჯვა მოქმედმა მერმა და პრეზიდენტ სააკაშვილის თანამებრძოლმა გიგი უგულავამ. მისმა მეტოქემ, ოპოზიციონერმა ირაკლი ალასანიამ მოაგროვა ხმების მხოლოდ 20 პროცენტი.

ამავე დროს მდგომარეობა საქართველოში ისეთია, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს ოპოზიციის წარმატებას: მოსახლეობის ერთ-მესამედს არ გააჩნია სამუშაო, დახმარება არ არის გათვალისწინებული უმუშევრობისთვის, საშუალო ხელფასი ქვეყანაში – სულ რაღაც 150 ლარია (დაახლოებით 70 ევროძ. მიუხედავად ამისა, როგორც პოლიტოლოგ გიორგი ხუხაშვილს მიაჩნია, ოპოზიციას ექნება შანსი გაიმარჯვოს სააკაშვილზე მხოლოდ ამ უკანასკნელის სერიოზული შეცდომების შემთხვევაში – ხალხი, მისი სიტყვებით, ძალიან დაშინებულია.

მიხაელ ლუდვიგი

Frankfurter Allgemeine

## დედამიწის ზურგზე



**გერმანიის პრეზიდენტის ადგილზე ფავორიტი მრავალშვილიანი შრომის მინისტრი გახდა**

ურსულა ფონ დერ ლეიენს შვიდი შვილი ჰყავს. ეს ქალბატონი ითვლება ყველაზე საალბათო პრეტენდენტად გერმანიის მომავალი პრეზიდენტის თანამდებობაზე. ზოგიერთი მონაცემებით მას მხარს უჭერს კანცლერი ანგელა მერკელი.

* * *

**თალიბებმა ქაბულში შეუტიეს ხანდაზმულთა კრებას**



ღონისძიების ადგილის მახლობლად აფეთქდა რაკეტა. ბოევიკებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს. არავინ დაზარალებულა, სხდომა შეწყდა, პრეზიდენტმა კარზაიმ დატოვა უბედურების ადგილი.

* * *

**დაღუპული ლეხ კაჩინსკის ძმამ განაცხადა, რომ არ ენდობა რუსეთის გამოძიებას**

იაროსლავ კაჩინსკიმ ბოიკოტი გამოუცხადა პოლონეთის უშიშროების საბჭოს სხდომას, რომელზეც მოისმინეს დაღუპული ტუ-154 ჩანაწერების სტენოგრამა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ არ სურს ისარგებლოს ამგვარი პრივილეგიებით. კაჩინსკის აზრით, საბორტო თვითჩამწერების ჩანაწერის გაშიფვრა ჯერ უნდა მოესმინათ მსხვერპლების ოჯახებს.

* * *



**გერმანიაში მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ბომბის განაღმვის მცდელობის დროს სამი კაცი დაიღუპა**

ინციდენტი მოხდა საუნივერსიტეტო ქალაქ გეტინგემში. 500-კილოგრამიანი ბომბი, რომელიც ომის დროს ჩამოაგდეს მოკავშირეების თვითმფრინავიდან, მოულოდნელად აფეთქდა, როდესაც სპეციალისტები მის გაუვნებლობას ცდილობდნენ.

* * *

**ჩეხეთის კონტრდაზვერვამ ხელი შეუშალა რუსეთის ჯაშუშებს, მოეპარათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის საიდუმლოებანი**

ჩეხეთის უშიშროებისა და ინფორმაციის სამსახურმა გამოაქვეყნა წლიური ანგარიში, საიდანაც ირკვევა, რომ 2009 წლის შუა პერიოდამდე რუსეთის დაზვერვის სამსახურები ცდილობდნენ მოეპოვებინათ საიდუმლო ინფორმაცია რადიოსალოკაციო ბაზის განთავსების შესახებ. პრაღამ გაასახლა ოთხი რუსი დიპლომატი, მათ ბრალი დასდო დაზვერვის საქმიანობაში.

პატივცემა

# მე მოვდიოდი დასაბამიდან და ჩემი სული ყვავილივით მომქონდა შენთვის...

*გოდერძი ჩოხელი საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში კიდევ ერთხელ გაიხსენეს. მისი ლამაზი სული იყო მასპინძელი. მის პიროვნებაზე, საუკეთესო თვისებებზე სამებაში შეკრებილმა გოდერძის მეგობრებმა, პოეტებმა, მწერლებმა ისაუბრეს.*

*თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა მწერლის შემოქმედება წარმოაჩინეს. აჩვენეს ნაწყვეტები მისი ფილმებიდანაც. საღამო მუსიკალურად ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა „გოგოჭურები", „ფიცვერცხლი" გააფორმეს. ასევე მონაწილეობდა მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი.*

*თამარ და ბაჩო კერესელიძეებმა, ბესო ბახტაძემ, გიორგი ჟღერიამ, სოსო კაპანაძემ, თამარ მესხმა წაიკითხეს გოდერძი ჩოხელის ლექსები, მინიატიურები, ნაწყვეტები მისი შემოქმედებიდან. სიტყვით გამოვიდნენ: ტარიელ ხარხელაური, ლაშა გვასალია, თამარ შაიშმელაშვილი, ნონა ნაჭყებია, თემურ არჩვაძე, მარიამ წიკლაური, მაია წიკლაური, ერეკლე საღლიანი...საღამოს უძღვებოდა სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ანი გელაშვილი.*

*გოდერძი ჩოხელმა 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.*

*მისი პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს" 1980 წელს გამოვიდა. შემდეგ მოჰყვა: „ბინდისფერი ხეობა," „ადამიანთა სევდა," „მგელი," „თევზის წერილები," „მღვდლის ცოდვა", „შემინახე, დედაო მიწავ", „ბალახის ცხოვრება".*

*გოდერძი ჩოხელმა პირველი მცირემეტრაჟიანი ფილმი 1978 წელს გადაიღო. ყველაზე წარმატებულ ფილმებს შორისაა: „აღდგომა", „ადამიანთა სევდა," „აღდგომის ბატკანი," „ცოდვის შვილები," „სამოთხის გვრიტები," „ლუკას სახარება" და „მიჯაჭვული რაინდები."*

*გოდერძი ჩოხელის მრავალ პრიზთაგან გამორჩეულია: ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალის გრან-პრი ფილმისათვის „აღდგომა," მონტე-კარლოს კინოფესტივალის „ვერცხლის ნიმფა" და საერთაშორისო კათოლიკური ეკლესიის პრიზი ფილმისთვის „ცოდვის შვილები." იაპონიის კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი, ანაპის ფესტივალ „კინოშოკის" გრან-პრი ფილმისთვის „სამოთხის გვრიტები," საუკეთესო სცენარისთვის ანაპის ფესტივალ „კინოშოკის" პრიზი ფილმისთვის „ლუკას სახარება."*

*ასევე – საქართველოს სახელმწიფო პრემია ფილმისთვის „ცოდვის შვილები".*

* * *

**მე ჩემი გოდერძი ჩოხელი მყავს, როგორც ფიროსმანი – გუდამაყარში სამყაროსხელა სევდად ანთებული.**

**მე ჩემი გოდერძი ჩოხელი მყავს – მარადქართული სულის სამზეოთი – ცით, ნისლით, კლდით, ისტორიით, დარდით, სიკეთით, ბინდისფერი ხეობებით, სახლის ანგელოსებით, დედის ღვთისმშობლისფერი ნათებით...**

**მარადქართული სიკვდილითაც კი – „გაზაფხულის პეპელაის ფერის სამოსელი" აცვია ამ სიკვდილს..**

**გოდერძი ჩოხელი – ქართული ზეცისა და სევდის უფლისწული!**

## დედამიწა ჩვენი სულების გარშემო ბრუნავს



**გოდერძი ჩოხელი – სილამაზისა და კაიყმის ანასხლეტი...**

**გოდერძი ჩოხელი – კრწანისის მწუხრში, საქართველოსავით დალეული და გულშეწირული –**

**„ერეკლე გაჰყავთ ბრძოლიდან,**
**ტირის წითელი ყაყაჩოო..."**

**კრწანისის ყაყაჩოებით მოცელილი და წინაპართა ძვლების სევდით ცხრაჯერ ანთებული და... ცხრაჯერ ჩამქრალი... იმ თავდადებული სამასი არაგველის ძალა, თვითონ სამას საკვირველებად რომ მონათლა, ახლა ჩვენში გადმოდის და გოდერძისეული ცრემლით წმენდს სულებს და კიდევ უფრო მეტად გვაძლიერებს.**

**„ზოგი ხალხის ისტორია ნისლივითაა, შიგნით არაფერი არ ჩანს, მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდება ხოლმე მწვერვალები და ისინიც ისე უმნიშვნელონი, იმავე წამს ნისლით იბურებიან.**

**ზოგი ქარს ჰგავს: თითქოს გარდასული წინაპრების სული იყვეს აბობოქრებული.**

**ზოგი თოვლს ჰგავს: ცივია, მაგრამ სპეტაკი და შეურყვნელი.**

**ზოგი ძვირფას თვალს ჰგავს. ანდა ბნელ ღამეში მბრწყინავ ციცინათელას.**

**ჩემი ქვეყნის ისტორია კი – დედის თვალებიდან ჩამოგორებულ ობოლ ცრემლს მაგონებს".**

**ასე სათუთად ინახავდა სულში დედას და ისტორიას. ასე ეთაყვანებოდა ორთავ სახებას.**

**სადა და თავმდაბალი – ასეთი დამრჩა, ასეთი მახსოვს.**

**ლექსების ახალი კრებულის „ობოლი ვარსკვლავების" წარდგენა მაქვს-მეთქი, უნივერსიტეტში... დავპატიჟე... და რომ მივედი, დარბაზის კარი ჯერ არ გაეღოთ, პირველი მოსულიყო, იდგა მარტოდმარტო ივანე ჯავახიშვილის სახელობის აუდიტორიის კარებთან...სამი დიდი მზისდარი გვირილით...**

**ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა ყოფილიყო – გოდერძი ჩოხელი რომ ამოგიდგება გვერდით პოეზიის სამყაროს მგზავრს. სიტყვითაც გამოვიდა, ლამაზი სიტყვით. ასე იცოდა – ახალგაზრდა მწერლების სიკეთის მეკვლე იყო მუდამ. გულისხმიერებისა და თანადგომის ფასი კარგად უწყოდა. ხშირად ამბობდა, ჩემს მოთხრობებს პირველები გამოეხმაურნენ ბატონები: ნიკო კეცხოველი და ნოდარ წულეისკირიო. და ამით ამაყობდა. თავადაც მათი ესტაფეტის ღირსეული გამგრძელებელი იყო.**

**დიდ უბრალოებაშია ძალა, რომელიც დროის მდინარებასთან ერთად უფრო მეტი სინათლით გვავსებს.**

**დაუსაბამოდ შეიძლება გოდერძი ჩოხელზე ლაპარაკი. მაშინ, როდესაც გლობალიზაცია წალეკვით ემუქრება პატარა ერებს, სწორედ გოდერძის დარ შემოქმედთა წყალობით ცოცხლობს ქართული სული. გოდერძიმ მრავალ კითხვაზე დაგვაფიქრა: წუთისოფელზე, სიყვარულზე, სიკვდილის სიდიადეზე...**

**გუდამაყრის ზღაპრულ ბუნებაში გაზრდილს უძნელდებოდა ბარად ცხოვრება. მთებს ეთაყვანებოდა, მთებით ედგა სული. „ლამაზი ისაა, კლდეს რომ შეერევი, სუნთქვას რომ გაატან ნიავს... „ნატრობდა, ოცნებობდა, ხვდებოდა, რომ თბილისისთვის არ იყო დაბადებული, აქ სული ვერ ლაღობდა. თბილისი ყოფილა ჩემი ბედისწერაო, დანანებით ამბობდა და ვერ გაჰქცეოდა ამ ბედისწერას.**

**„ვხედავ და მესმის, ცელის შრიალით, როგორ მიახლოვდება სიკვდილი. მეშინია.**

**სიკვდილისა კი არა, იმისი მეშინია, ვაითუ ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, ჩემს შვილიშვილს ისე გავუპარტახო საქართველო, იის ძირ-თესლიც კი გავუწყვიტო და ორიათასოცდახუთ წელს, სხვა ქვეყანაში საყიდელი გავუხადო იების თაიგული.**

**მეშინია და თან იმედს ვიტოვებ, რადგან აქედან ვხედავ, რა გაღიმებული და ბედნიერი მოდის ჩემს საფლავთან ჩემი შვილიშვილი. საფლავზე ახალდამშრალ მზორეში მოკრეფილ იების კონას დადებს და მეუბნება: – აი, პაპა, მოგიტანე შენი საყვარელი იები!**

**ღმერთო, ნუ მომიშლი ამ იმედს!" – ასეთი წერილი მისწერა გოდერძიმ 2025 წლის საქართველოს მომავალს. საკუთარ თავს ვერ პატიობდა, რომ დაქუცმაცებულ სამშობლოს უტოვებდა შვილებს. მიმწუხრი კი დგებოდა, სულში შეუმჩნევლად სევდაც საღამოვდებოდა... სამანს იქითა სამყაროში უნდა გადასულიყო...**

**დედამიწა ჩემი სულის გარშემო ბრუნავსო... გვითხრა და ყველანი შეგვაზანზარა, იმ საღამოსაც, სამებაში ვგრძნობდით ამ ბრუნვას, თითქოს დედამიწაც ჩვენი სულის გარშემო ბრუნავდა სიკვდილ-სიცოცხლის მარადჟამული საიდუმლოს განდობასავით...**

**მოვიდა, სიცოცხლის ძალა შთაგვბერა და წავიდა... ისევ ჩვენს გადასარჩენად სულეთის გზაზე!**

## გოდერძი ჩოხელის ათი მცნება

**გავშვები სუფთა იბადებიან, ადამიანებს მერე გვემღვრევა სული.**

**სანამ ცოცხალი ხარ, არ მოკვდები და თუ მოკვდი მერე აბა რისიღა უნდა გეშინოდეს. სიკვდილს იქით ხომ კიდევ უფრო დიდი სიცოცხლეა...**

**სიკვდილი ისევე ალამაზებს სიცოცხლეს, როგორც მზე და მთვარე ალამაზებენ წყვდიადს.**

**სიკვდილი ვალია, უნდა მოიხადოს კაცმა თავისი ვალი.**

**თანდათან მგლების ხროვას ემსგავსება კაცთა მოდგმა.**

**ახლა ყველა ადამიანი მოთხრობა მგონია, იმ წუთშივე წარმოვიდგენ, რომ მოთხრობა ხარ და სათაურს გამოგიძებნი...**

**კაცის ნასახლარს ნუ მანახვებ და ნუ გახდება საქართველო ნახევრის-ნახევარი. და შენ, კუზიანო დედამიწავ, რამდენიც გენებოს, იტრიალე!**

**ამქვეყნად მწერალზე ადრე არავინ ჭკნება, თუ მას არ უსმენენ. მეც მინდა ისეთი მწერალი ვიყო, თუნდაც ერთ ადამიანს მაინც არ დავუჭკნე საქართველოში.**

**დედამიწა არის მზითა და მთვარით განათებული დიდი წიგნი, სადაც უამრავი ცოცხალი მოთხრობა დადის.**

**დედამიწაც ჩემი სულის გარშემო ბრუნავს.**

## გათენება ჩოხში

**გოდერძი ჩოხელის კინოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II „ნამდვილი ცხოვრება" უწოდა. „გოდერძი ცრემლი იყო, რომელიც დაეცა ქართულ მიწას. იგი მწუხარებაც იყო და სიხარულიც," – ბრძანა პატრიარქმა.**

**ამ ცრემლმა ლექსი დამაწერინა. მინდა, ჩვენი გაზეთის მკითხველებს გოდერძის ხსოვნის უკვდავსაყოფად ეს ლექსი შევთავაზო.**

**ეს გათენება ჩოხში**
**ჩემს საქართველოს იხსნის,**
**ვით ანგელოსის კვალი**
**იშვა ცრემლიდან სხივი.**

**ენატრებოდა სივრცე –**
**ცვარდანამული რომ თრთის,**
**სულმა შესთხოვა ზეცას**
**და მოიყვანა თოვლი.**

**სულ დაეძებდა სიკვდილს**
**ყველგან, მთასა თუ ბარში...**
**არ გაიმეტა ზეცამ**
**თვითმკვლელად დიდი ბავშვი.**

**ხოლო შეიცნო როცა**
**მზისა და სიბრძნის არსი,**
**სიცოცხლე ისე სურდა**
**ვით იის სუნთქვა ქარში.**

**მაშინ ამაღლდა ზეცად**
**თეთრი ღრუბლების მირქმით,**
**დედამ გაუთბო შუბლი**
**ჩუმმეამბორე ნისლით.**

**სევდად უნთია სული**
**ჟამგადამფრენი მერცხლის!**
**ჰა, დედამიწავ, შვილი –**
**გულს დაცემული ცრემლი!**

**თამარ შაიშმელაშვილი**

ინიციატივა



# ფოტოგამოფენა პირველ საჯაროში

**თბილისის №1 საჯარო სკოლაში წმინდა ნინოს შემობრძანების დღესასწაულს და ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა მოსწავლეების ფოტონამუშევრების გამოფენა.**

წარმოდგენილი იყო ა. ბაკაშვილის, გ. მინდიაშვილის, ნ. გაბედავას, ე. მინაშვილის, რ. ურიათმყოფელის, ა. ბრეგვაძის, გ. ასათიანის, მ. ომანიძის და ს. ვასაძის ნამუშევრები, რომლებიც შეაფასეს ცნობილმა ფოტოხელოვანმა გ. ჯოლბორდმა და არქიტექტორმა ნ. იმნაძემ. მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა სურვილი, ფოტოგრაფიის საშუალებით „შეაჩერონ მშვენიერი წამი" უდავოდ მისასალმებელია.

გამოფენის მონაწილეებმა მადლობა გადაუხადეს მე-10 კლასის მოსწავლეს ე. მინაშვილს, რომელმაც მოაწყო ამ გამოფენის ორგანიზება და სასწავლო ნაწილის გამგეს, ქალბატონ ნ. ბერაძეს. მათ თავის მხრივ აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის გამოფენები კვლავ გაგრძელდება და გამოთქვეს იმედი, რომ კიდევ უფრო მეტი მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას.

გამოფენაში მონაწილეებს სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებისთვის გადაეცათ სიგელები: შავ-თეთრი ფოტო – ნ. გაბედავა; პორტრეტი – ა. ბრეგვაძე; ქალაქი – ს. ვასაძე; ბუნება – რ. ურიათმყოფელი; გლამური – ა. ბაკაშვილი; ემოციური ფოტო – მ. ომანიძე.

**ანანო გაბრიჩიძე**



№ 102. ხუთშაბათი, 3 ივნისი, 2010 წელი.

ახალ ამპლუაში

# ქომაგის პოზიციიდან




**არჩილ ჟღენტი, ლევან ქარაბაკი, დავით ბერძენიშვილი, ირაკლი ხოშტარია, ვაკო ბეჟანიშვილი... ისინი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ოქრუაშვილის აღზრდილები არიან, რომლებმაც ოსტატის ღირსეული შეგირდობა ჯერ „მართვეს“ ბავშვთა, ხოლო მოგვიანებით ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილის „კაქტუსის“ გუნდების მაისურებით გასწიეს.**

ამ თაობის ყოჩმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა გულშემატკივარს, უპირველესად, დაუოკებელი სპორტული ჟინით დაამახსოვრა თავი, რომელიც ნებისმიერ მეტოქესთან ვაჟკაცურად იბრძოდა და პარტნიორებს თავგანწირვის მაგალითებს აძლევდა. საილუსტრაციოდ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვეული თბილისის ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის საკალათბურთო კომპლექსში გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მაშინდელი სწორუპოვარ კლუბთან „ვითასთან“ გამართულ მატჩს გავიხსენებ.

პრინციპული შეხვედრის წინ ხმა გავრცელდა, რომ დიდი სიცხის გამო ვატო ვერ ითამაშებდა, ეს კი ბესიკ ლიპარტელიანის ისედაც მრისხანე კრებულს გამარჯვების თითქმის ასპროცენტიან გარანტიას აძლევდა.

ის-ის იყო, დუელისწინა მოთელვა დასრულდა და ინფორმატორმა მხარეთა შემადგენლობების გამოცხადება დაიწყო, რომ გაყინულ დარბაზში შარფში ჩაფუთნული ნაცვლიშვილი გამოჩნდა, რომელმაც გოლიათური ნაბიჯებით გადალახა ტრიბუნის წინალობა და გაოცებულ ქომაგთა ტაშის გრიალში ბიჭებს შეუერთდა. დაგვეთანხმებით, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია, როგორ განვითარდა მოვლენები სარბიელზე – მთავარი პასუხისმგებლობის ის მოჭარბებული გრძნობა იყო, რომელიც ჭაბუკობიდანვე უწევდა ვატოს მეგზურობას, ხოლო განსაკუთრებულად მოგვიანებით, ეროვნული ნაკრების კაპიტნობისას ვლინდებოდა. აღარაფერს ვამბობ შთამბეჭდავი უცხოური საკლუბო კარიერის პერიოდზე, როცა ღირსეული ოჯახის ღირსეულმა შვილმა ჩვეული შემართებით ზიდა ლეგიონერის ტვირთი და ცხრა მთას იქითაც დიდებულად წარმოაჩინა სამშობლო.

...რამდენიმე დღის წინათ ნაცმოძრაობის ახალი ფავორიტი დედაქალაქის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გახდა ვაკის საარჩევნო ოლქიდან. ჩვენ რომ იმ საზოგადოების წევრები ვიყოთ, სადაც კანონი და სამართალი ზეობს, მას გულით მივულოცავდით მორიგი მწვერვალის დაპყრობას, მაგრამ მაშინ, როცა კოლეგა-ფეხბურთელის გიორგი ნემსაძის საბედისწერო მაგალითი გვიდევს წინ, ვაფრთხილებთ ვატოს: ერიდე ხელმწიფის ნავში ჯდომას!

**გია პლატონიშვილი**

სუმო



# უკრაინელი პრეზიდენტი კავკასიელთა მხარდაჭერამ ვერ იხსნა

**ბულგარული ვარნა სამ დღეს მასპინძლობდა სუმოისტთა ევროპის პირად-გუნდურ ჩემპიონატს, რომელშიც 27 ქვეყნის წარმომადგენლები ეცილებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრებაში საქართველოდან სამი სპორტსმენი მონაწილეობდა. ძიუდოისტმა ადამ ოქრუაშვილმა, რომელმაც ევროპულ დოჯიოზე შარშანაც იყოჩაღა, თითო ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ახალგაზრდებს შორის პირად პირველობაში იგი ჩემპიონი გახდა (მძიმე წონაძ, გუნდურში მეორე ადგილი დაიკავა და უფროსებში (აქაც მძიმე წონაძ მესამე ადგილს დასჯერდა.**

ორი ბრინჯაოს მედალი უფროსებში ავთანდილ ცერცვაძემ (აბსოლუტურიძ და ახალგაზრდებში ზაზა ბალაშვილმა (მძიმე წონაძ დაიმსახურეს. ბულგარეთიდან დაბრუნებულმა სუმოისტებმა სპორტის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართეს. ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ რუხაძემ პრესის წარმომადგენლებთან საუბრისას აღნიშნა, რომ ვარნაშივე გამართულ სუმოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე ქართულმა მხარემ კატეგორიულად მოითხოვა ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის უკრაინელი სერგეი კორობკოს გადაყენება, რადგან წლეულს გაზაფხულზე მან მხარი დაუჭირა ევროპის 18-წლამდელთა პირველობაზე აფხაზეთის დამოუკიდებელი გუნდით გამოსვლას. ქართველთა წინადადებას კენჭი უყარეს. 27-დან 23 სახელმწიფოს წარმომადგენელი კორობკოს წინააღმდეგი აღმოჩნდა. უკრაინელი პრეზიდენტი რუსების თავშეკავებამ, თანამემამულეთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა მხარდაჭერამ ვერ იხსნა.

პრესკონფერენციაზე ითქვა ისიც, რომ ქართველი სუმოისტები უფრო საფუძვლიანად მოემზადებიან მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც სექტემბერში (პოლონეთიძ გაიმართება.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: მარცხნიდან – ადამ ოქრუაშვილი, ავთანდილ ცერცვაძე და ზაზა ბალაშვილი ბულგარული ნადავლით.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ტრაგედია რომ არ განმეორდეს

**საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკძ გამოაცხადა, რომ „ნეიტრალურ ექსპერტს“ დაავალებს, გაეცნოს სოჭში მშენებარე საციგაობოსლეის ტრასის საპროექტო დოკუმენტაციას. ეს კეთდება იმისთვის, რომ აღარ განმეორდეს ვანკუვერში მომხდარი ტრაგედია, როცა საციგაო ტრასაზე დაიღუპა ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი.**

სოკი ასეთ ზომებს იღებს იმიტომაც, რომ სოჭის ტრასაც დააპროექტა გერმანელმა ინჟინერმა უდო გურგელმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა კანადური ტრასის დაპროექტებაშიც.

მოელიან, რომ ექსპერტების ვინაობას ამ კვირის ბოლომდე განსაზღვრავენ საციგაო სპორტის, აგრეთვე ბობსლეისა და სკელეტონის საერთაშორისო ფედერაციები.



ისიც უნდა ითქვას, რომ მოციგავეებს უნდათ, შეიზღუდოს ციგის მაქსიმალური სიჩქარე საათში 136 კილომეტრამდე. ვანკუვერში კი ის საათში 150 კილომეტრს აღწევდა.

## ლამაზმანი მსოფლიო თასს შეეხო

**თავისებურ სენსაციად იქცა ფეხბურთში მსოფლიო თასისთვის სპეციალური ფუტლიარის შექმნა. 1974 წელს დამზადებული ეს ოქროს ნადავლი აქამდე რკინის ყუთით, ზოგჯერ კი ჩვეულებრივი სპორტული ჩანთით გადაჰქონდათ.** ამ ცოტა ხნის წინ კი ფეხბურთის საერთაშორისო შტაბის-ფიფას – წარმომადგენლებმა მიმართეს ლუქსის კლასის ავეჯის დამამზადებელ ცნობილ ფრანგულ კომპანიას Louis Vuitton თხოვნით, დაემზადებინა სპეციალური კეისი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობის ფეხბურთის – სანუკვარი ჯილდოს – მსოფლიო თასის გადასატანად, რათა ის მოგზაურობდეს კომფორტითა და განსაკუთრებული ლაზათით.



ახალი ფუტლიარი საზოგადოებას წარუდგინა ლეგენდარულმა ლამაზმანმა და ტოპ-მოდელმა ნაომი კემპბელმა.

## არგენტინელებს გზა დაულოცა

**სამხრეთ აფრიკისკენ მიმავალ არგენტინელ ფეხბურთელებს გზა დაულოცა და წარმატება უსურვა ცნობილმა არგენტინელმა სექს-ბომბა ლუსიანა სალასარმა. ამისკენ მას ნაღდად უბიძგა დიეგო მარადონას დაპირებამ – შიშველი ირბენდა ბუენოს-აირესის სიმბოლის გარშემო ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში.** ბუნებრივია, რომ ქალიშვილმა არჩია ყველაზე უბრალო გზა – გაეხადა ფოტოსესიისთვის, სადაც ერთხელ უკვე იყო მინიატურული ტრუსებით და არგენტინის დროშის ფერის შესატყვისი მოსართავებით.



„წარმატებას გისურვებთ, ბიჭებო!“ – ასე დაულოცა მან გზა ფეხბურთის ნაკრებსა და მის მწვრთნელს.

ჩოგბურთი

# ფედერერი – თამაშგარეთ

**გადამწყვეტ ფაზაში შედის „დიდი შლემის“ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული „როლან გაროსის“ საჩოგბურთო ტურნირი, რომელსაც პარიზის კორტები მასპინძლობს.**



**ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ვინ დაიდგამს თავზე გვირგვინს, მაგრამ უკვე ფაქტია, რომ ვაჟთა ასპარეზობას წლეულს ახალი გამარჯვებული ეყოლება.**

ეს მას შემდეგ გაცხადდა, რაც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, საფრანგეთის დედაქალაქის გრუნტიანი საფარის შარშანდელმა ტრიუმფატორმა, შვეიცარიელმა როჯერ ფედერერმა ოთხ პარტიაში დათმო მეოთხედფინალური ბრძოლა შვედ რობინ სოდერლინგთან – 6:3, 3:6, 5:7, 4:6. შეგახსენებთ, რომ სკანდინაველმა გასულ სეზონშიც ამავე ეტაპზე შეაჩერა მანამდე დაუმარცხებელი გრუნტის ესპანელი მეფის რაფაელ ნადალის წინსვლა და ნახევარფინალში ჩეხ ტომაშ ბერდიხს შეხვდება, რომელმაც მრისხანე შოტლანდიელის ენდი მარეის შემდეგ ცალი ხელით დაიდო რუსი მიხეილ იუჟნის ცოდვა – 6:3, 6:1, 6:2.

დიდი დანაკლისი განიცადა ქალთა ელიტამაც შარშანდელი ფინალისტების სვეტლანა კუზნეცოვასა და დინარა საფინას, აგრეთვე ვინუს უილიამსის, ანა ივანოვიჩისა და ჟუსტინ ენენის სახით.

პარიზის კორტებზე კვანძი დამდეგ უქმეებზე გაიხსნება.

◎ პროექტი

# სკოლებში მანდატურები მკვიდრდებიან

**თითქმის ორი თვეა, რაც საქართველოს რამდენიმე სკოლაში მანდატურების ინსტიტუტი მოქმედებს. ამ პროექტმა თავიდანვე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. ამის მიუხედავად როგორც ჩანს ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში მანდატურები მნიშვნელოვან და გამორჩეულ ადგილს დაიჭერენ.**

ამჟამად განათლების სამინისტრო ყველა სკოლისთვის ამზადებს მანდატურებს, რომლებიც სპეციალურ სწავლებას გადიან და მალე ოფიციალურად შეუდგებიან თავიანთი საქმის გაკეთებას.

დაპირი მასაჟი და ხელოვნური სუნთქვის ტექნიკა, ჭრილობების შეხვევა, სისხლდენის შეჩერების წესები, მოტეხილობებისა და ტრავმების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება და სხვა. საწყის ეტაპზე მომზადებას გაივლის მანდატურთა მომზადების კურსის 48 მსმენელი.

პროექტის ამ ნაწილში მონაწილეობდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი.

როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, უსაფრ-



როგორც განათლების სამინისტროში ახალი რეფორმის დასაწყისში აცხადებდნენ მანდატურების ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობა დაწყებით საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოზარდთა შორის გახშირებულმა ძალადობამ გამოიწვია. პროექტის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობს, კონკრეტულად შსს-ს აკადემიასთან.

აკადემიის რექტორმა ხატია დეკანოიძემ და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ვადაჭკორიამ ხელი მოაწერეს მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს პირველადი სამედიცინო დახმარების სფეროში მანდატურთათვის ტრენინგების ჩატარებას.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, პროგრამა მოიცავს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა სასიცოცხლო ფუნქციების პირველადი მართვა, გულის არაპირ-

თხო სკოლის პროგრამის ფარგლებში მანდატურები გარდა კონფლიქტებისა და დანაშაულის პრევენციისა, ბავშვებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევასაც შეძლებენ. ამით სრულყოფილი ხდება პროგრამა, რომელიც მანდატურთა ინსტიტუტის საბოლოოდ შემოღებას და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვას ითვალისწინებს.

იმედია, მანდატურებს ხშირად არ დასჭირდებათ იმ უნარ-ჩვევების გამოყენება, რასაც ახლა ითვისებენ, ასევე არ იქცევიან ბავშვების დამსჯელ რაზმებად თუ სუბიექტებად, ან იმის წინაპირობად, რომ მოზარდებმა კიდევ უფრო შეიძულონ სკოლაში სიარული და ვერ მიხვდნენ განათლების აუცილებლობას, თორემ ეკა ხოფერიას ახალ გადაცემაში „აუდიტორია“ თვალნათლივ გამოჩნდა რა ინტელექტუალური შესაძლებლობები აქვთ დღევანდელი ახალგაზრდობის უმრავლესობას.

**ანა წიწილაშვილი**

◎ ინფორმაცია

## ეროვნული არქივის ცხელი ხაზის მომსახურებით 600-მდე მოქალაქემ ისარგებლა

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცხელი ხაზის მომსახურებით 2010 წლის 5 თვეში 600-მდე მოქალაქემ ისარგებლა.**

**ტელეფონის ნომერზე: 140505 დარეკვით მოქალაქეებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიიღონ ეროვნული არქივის საქმიანობასა და მომსახურებასთან დაკავშირებით.**

**ეროვნული არქივის ცხელ ხაზზე მოქალაქეები, ძირითადად, არქივში ცნობის (სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი ცნობა; დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების ცნობა; რეპრესიისა და რეაბილიტაციის ცნობა; გენეალოგიური და ბიოგრაფიული ხასიათის ცნობა და სხვ.ძ მოძიების პროცედურებს, ადგილობრივი არქივების მდებარეობას, მომსახურების პირობებს არკვევენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ჰოროსკოპი

# ივნისი — დაწინაურების დროა

### ხარი



ძალისა და ენერგიის მოზღვავება დაგეხმარებათ შეუცდომლად და რწმენით იაროთ წინ. წარმატებული იქნება ყველა წამოწყებული საქმე. იდეები, რომლებიც გქონდათ და ვერ გადაგეწყვიტათ გამოგეტანათ საყოველთაო განხილვაზე, შეიძლება თამამად გაუმჟღავნოთ ყველას. ამ იდეებს აღიქვამენ სერიოზულად და შეაფასებენ ღირსეულად.

სამსახურში და ბიზნესში ყველაფერი კარგად მიდის. არსად არ გეჩქარებათ და მშვიდად აკეთებთ თქვენს საქმეს. ქალ-კუროებს შეიძლება წარმოექმნათ გინეკოლოგიური პრობლემები. ფეხმძიმეები უნდა ერიდონ მუცლის მოშლას.

### ვეფხვი



ზაფხული — მგზნებარე გატაცებათა დროა. ეული ვეფხვები ერთ რომანს მეორეს მიაყოლებენ. არ არის გამორიცხული, რომ რაიმე მსუბუქი გატაცება გადაიზარდოს სერიოზულ გრძნობაში. თუ ეს მაინც არ მოხდება, ვეფხვებს აქვთ ყველა შანსი, მხიარულად გაატარონ დრო. მაგრამ მთელ ამ სასიყვარულო გატაცებაში არ უნდა დაივიწყონ სამუშაოს შესახებ.

### კატა



ამ თვეში თქვენს ჰოროსკოპში შემოდის „უბედურებათა ვარსკვლავი“. მას თქვენს ცხოვრებაში შემოჰყავს სხვადასხვაგვარი პრობლემა და უბედურება.

ფულთან დაკავშირებით წარმატებებს ნუ ელოდებით, ამიტომ თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებისგან, ამ თვეში საერთოდ თქვენთვის ცუდია ფინანსებთან დაკავშირებული აქტიური მოქმედებანი.

### დრაკონი



ამ შესანიშნავ თვეში ვარსკვლავები თქვენ გიხსნიან შესანიშნავ შესაძლებლობებსა და ახალ გზებს. ამჯერად თქვენს მხარეზეა წარმატება დიდებისა და აღიარების სფეროში. ამიტომ საყოველთაო ყურადღება თქვენთვის გარანტირებულია. ეს შეიძლება იყოს თქვენთვის სასიამოვნო, მაგრამ საკმაოდ ძნელი საქმეც. თავი შეიკავეთ ეჭვიანობისგან და ერიდეთ მარტივ დავებს.

ყოველი მხრიდან მიიღებთ დახმარებას და მხარდაჭერას ყველა საქმეში. ეს დახმარება შეეხება თქვენი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის სამსახურს, ბიზნესსა და პირად ცხოვრებას.

### გველი



გველებმა შეიძლება მიიღონ უმიზეზო ჭმუნვა და მწუხარება. საუკეთესო მკურნალია — მოგზაურობა. გადით შვებულებაში, შორეულ ქვეყნებში თქვენთვის გარანტირებულია სასიამოვნო შთაბეჭდილებანი, ახალი ადამიანების გაცნობა და სასიყვარულო თავგადასავლები. თუ არ არის საშუალება გახვიდეთ შვებულებაში, გაიხსენეთ ძველი მეგობრები.

ისინი დაგეხმარებიან, დააღწიოთ თავი მწუხარებას. ამ თვეში გველები განსაკუთრებით მიმზიდველები იქნებიან მოპირდაპირე სქესისთვის. ნუ გაუშვებთ ხელიდან შესაძლებლობას მოაწესრიგოთ საკუთარი ცხოვრება.

### ცხენი



ეს თვე აბსოლუტურად არახელსაყრელია ახალი საქმეების წამოსაწყებად. ამ წარუმატებელი პერიოდისთვის ნუ დაგეგმავთ რაიმე მნიშვნელოვანს. ერთადერთი, რაშიც ცხენებს შეიძლება ჰქონდეთ წარმატება — ესაა ადამიანებთან ურთიერთობა. გამოიყენეთ ეს შესაძლებლობა.

ეს თვე კარგია საჭირო ადამიანებთან კონტაქტების მოსაწესრიგებლად. სამომავლოდ ეს ურთიერთობანი დაგეხმარებათ წინსვლაში საკარიერო კიბეზე.

### თხა



ეს თვე მეტად ნაყოფიერია პროფესიული ზრდისთვის.თუმცა სასამსახურო კიბეზე წინსვლა უმეტესწილად დამოკიდებულია თავად თხაზე. მოგიწევთ ბევრი შრომა და თანაც ნაყოფიერად, რომ ჩამოიტოვოთ კონკურენტები. უნდა აჩვენოთ, რომ თქვენ მართლაც ყველას სჯობიხართ და არავინ იმსახურებს თქვენზე მეტად ამ ადგილს.

ეს პერიოდი ძალიან კარგია სასიყვარულო ურთიერთობებისთვისაც. არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ მონაწილეობა აზარტულ თამაშებში. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ფულად საქმეს. ნუ მიიყვანთ საქმეს გაკოტრებამდე.

### მაიმუნი



ამ თვეში სულ გექნებათ სურვილი ჩაყოთ ცხვირი სხვის საქმეში. მოგეჩვენებათ, რომ მეგობრები, ნათესავები და ნაცნობები ვერ იარსებებენ თქვენი რჩევების გარეშე. ეცადეთ, შეიკავოთ თავი, ყველას როდი მოეწონება თქვენგან ჭკუის სწავლება, ამ თვეში თქვენი საქმეები წინ ვერ წაიწევს. ესაა კარგი შესაძლებლობა იმისთვის, რომ მოიწყოთ პატარა დასვენება და წესრიგში მოიყვანოთ საკუთარი სახლი.

### მამალი



ამ თვეში გასაოცარია თქვენი ენერგია,რომელიც ჩქეფს. თითქოს არ იყოს საქმე, რომელსაც ვერ დაძლევდით. რაც მეტს გააკეთებთ ამ თვეში, მით უკეთესია თქვენთვისაც. გინდათ შვებულებაში წასვლა, მაგრამ უმჯობესია ცოტა კიდევ წაიმუშაოთ, ეს, ბუნებრივია, დაგეხმარებათ, მისცეთ საკუთარ თავს სრულფასოვანი ყოველდღიური დასვენება.

ჭარბად გაქვთ სხვადასხვა იდეები და უმალვე ცდილობთ განახორციელოთ ისინი. გარშემომყოფნი მთლიანად გენდობიან და თქვენ იოლად შეგიძლიათ უმალვე მიიღოთ მათი მხარდაჭერა ყველა საქმეში. შეიქმენით კარიერა — ახლა ეს ყველაზე კარგი დროა. გიმართლებთ ფულშიც.

### ძაღლი



ეს თვე ბევრ სიხარულს მოგანიჭებთ. წარმატება შეეხება არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობას — ის აგრეთვე შემოვა თქვენს პირად ცხოვრებაშიც. გაგაოცებთ უეცრად მოსული იმის შეგრძნება, რომ სხვა ადამიანის წარმატებანი და მიღწევანი უფრო მეტ წარმატებებს მოგიტანთ, ვიდრე საკუთარი წარმატებანი.

ყველაფერს, რაც უნდა მოხდეს ამ თვეში თქვენს ცხოვრებაში, უსათუოდ ახლავს წარმატებანი. თუ დაისახავთ მიზნად და მოინდომებთ მის მიღწევას — აუცილებლად მიაღწევთ მას.

### ღორი



მოგეჩვენებათ, რომ თქვენი მთელი ძალისხმევა არავითარ შედეგს არ იძლევა. გაგიჩნდებათ იმის შეგრძნება, რომ რაც მეტს აკეთებთ საკუთარი მიზნების მისაღწევად, მით უფრო შორსა ხართ შედეგებისგან. მაგრამ ეს გრძნობები მაცდურია. ნუ ჩამოუშვებთ ხელს და წარმატებანი არ მიგატოვებენ.

თვე კარგია იმისთვის, რომ მიხედოთ საშეურნეო საქმეებს. წარმატების მომტანი დროა რემონტისთვის, ავეჯის შესაძენად, საცხოვრებელი ბინის განახლებისთვის.

### ვირთხა



თვე საკმაოდ დაძაბული იქნება — მზად იყავით ამისთვის. ძალიან დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ სხვების აზრს, ვინაიდან მან შეიძლება გაწყენინოთ. გქონდეთ საკუთარი თავის რწმენა და თავად შეაფასეთ თქვენი თავი.

შესაძლებელია ჭორები, სკანდალები, დავები, სასამართლო დავები, პრობლემები ხელისუფლებასთან. ერიდეთ მკვეთრ მოძრაობებს. უნდა გამოიყენოთ დამატებითი ძალისხმევა, ხელში აიყვანოთ საკუთარი თავი.

წიგნის — „თქვენი ასტროპროგნოზი და ფენ-შოუ 2010 წლისთვის“ მიხედვით

◎ კავშირგაბმულობა

## „მეგაფონი“ „ოსტელეკომმა“ ჩაანაცვლა

ე.წ. სამხრეთ ოსეთი მობილური კავშირგაბმულობის ახალ კოდებზე გადავიდა. კერძოდ, აქამდე მოქმედი კოდი 928 კოდ 929-ით შეიცვალა. ოსური მედიის ინფორმაციით, აქამდე ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კავშირგაბმულობას რუსული მობილური კავშირგაბმულობის ოპერატორი „მეგაფონი“ უზრუნველყოფდა. ამიერიდან კი „მეგაფონს“ „ოსტელეკომი“ ჩაანაცვლებს.

ოსური მხარე ასევე იუწყება, რომ ახალი ნომრები უკვე 10 ათასზე მეტმა აბონენტმა აიღო. ერთი წუთი საუბრის საფასური წუთში 9 რუსულ რუბლს შეადგენს.

ჯი-ეიჩ-ენი

## დაიჯესტი

### სამურაის შთამომავლის ერთგულება



**პოდპორუჩიკი ჰირო ონოდა, რომელიც იაპონიის საიმპერატორო დივერსიულ რაზმში მსახურობდა, ფილიპინებზე 1944 წელს მოხვდა. მის რაზმს ამერიკული ბაზები უნდა გაენადგურებინა. 1945 წლის აგვისტოში მან თვითმფრინავიდან გადმოგდებულ სააგიტაციო ფურცლიდან შეიტყო, რომ ომი დამთავრდა და იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, მაგრამ ონოდამ ეს მტრის მზაკვრობად მიიჩნია და განაგრძო თავისი პარტიზანული ომი...**

1972 წელს ჰირო ონოდას შემთხვევით იაპონელი ტურისტი გადააწყდა, მაგრამ მან თავისი უშუალო მეთაურის მაიორ ტანიგუჩის ბრძანების გარეშე იარაღის დაყრაზე კატეგორიული უარი განაცხადა, თანაც სიამაყით მოყვა, რომ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე მწყობრიდან 130 ფილიპინელი ჯარისკაცი და ოფიცერი გამოიყვანა...

მოწყალე ტურისტი იაპონიაში დაბრუნდა, ტოკიოში მაიორი ტანიგიუჩი მონახა, ფილიპინებზე ჩაიყვანა და ონოდას ოცდაათი წლით დაგვიანებული ბრძანება გააცემინა. სამედიცინო გამოკვლევით დადგინდა, რომ პოდპორუჩიკი ფსიქიკურად და ფიზიკურად სრულიად ჯანმრთელი იყო. მოგვიანებით მან ტოკიოში „ექსტრემალურ პირობებში გადარჩენის სკოლა“ გახსნა.

### „არასტუმართმოყვარე“ ქვეყანა

**ავღანეთის დაპყრობა ბოლო 200 წლის მანძილზე არაერთხელ სცადეს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ყველა ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა.**

1883 წელს ბრიტანეთმა ავღანეთში 30 ათასი ჯარისკაცი შეიყვანა და ქაბულის ტახტზე „თავისი კაცი“ შაჰი შუჯა დასვა, რომელიც მისმა ქვეშევრდომებმა სამ წელიწადში ჩამოაგდეს.

1879 წელს ავღანეთში უკვე 39 ათასი ბრიტანელი ჯარისკაცი შეიჭრა, ხელმწიფე ბრიტანელებს „დაუწვა“, თუმცა ინგლისელები მაინც ერთ წელიწადში გამოყარეს.

1885 წელს ავღანეთში რუსეთის იმპერიის ჯარი შეიჭრა. ლონდონი ქაბულს რუსებისთვის მედგარი წინააღმდეგობის გაწევას მოითხოვდა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ რუსეთმა ავღანური მიწები ბრიტანეთის გავლენის სფეროდ აღიარა და კუშკაში „გაჩერდა“.

1919 წელს ინგლისელები კვლავ შეიჭრნენ ავღანეთში, მაგრამ ამ აგრესიამაც მცირე ხანს გასტანა.

1979 წელს ავღანეთში ახლა უკვე საბჭოთა ჯარი შეიჭრა, თუმცა 10 წლის შემდეგ სულთმებრძოლი სსრ კავშირის ჯარისკაცებს „არასტუმართმოყვარე“ ქვეყნის დატოვება მოუწიათ. ავღანეთის ბოლო პროსაბჭოური ლიდერი ნაჯიბულა თალიბებმა ჩამოახრჩვეს, ქვეყანა კი სამოქალაქო ომის მორევში ჩაიძირა. ავღანეთის მიწამ 15 ათასი საბჭოთა ჯარისკაცის ცხედარი მიიბარა.



2001 წლის ნოემბერში ავღანეთში ნატოს კოალიციური დაჯგუფება ომობს, რომელსაც ამერიკა დღემდე მეთაურობს...

## დღის კალენდარი — 3 ივნისი

**მოციქულთა სწორთა: კონსტანტინე მეფისა (337წ) და დედისა მისისა ელენე დედოფლისა (237წ); კრება ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა.**



**ამოდის 04.31**
**ჩადის 19.26**



**ამოდის 20.16**
**ჩადის 04.25**

### დაიბადნენ:

**1469 – ნიკოლო მაკიაველი,** იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, სამხედრო თეორეტიკოსი, დიპლომატი. გარდაიცვალა 1527 წელს.

**1707 – ჰენრი ფილდინგი,** ინგლისელი მწერალი, დრამატურგი, პუბლიცისტი. გარდაიცვალა 1754 წელს.

**1856 – ვასილ ბარნოვი (ბარნაველიძ,** მწერალი, ქართული ისტორიული რომანის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1934 წელს.

**1857 – ჟაკ ჟან მარი დე მორგანი,** ფრანგი არქეოლოგი, აღმოაჩინა ჰამურაბის კოდექსიანი სტელა. გარდაიცვალა 1924 წელს.

**1898 – გოლდა მეირი,** ისრაელის პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი.

**1936 – რევაზ სირაძე,** აკადემიკოსი, ფილოლოგი.

**1941 – ნონა გაფრინდაშვილი,** ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო დიდოსტატი ჭადრაკში ქალებსა და ვაჟებს შორის.

**1961 – გიორგი (გიაძ ბურჯანაძე,** მსახიობი, კ. მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი.

### გარდაიცვალა:

**2000 – მამუკა კიკალიშვილი,** რეჟისორი, მსახიობი.

### მოვლენები:

**1803** – შეერთებულმა შტატებმა საფრანგეთისგან ლუიზიანა იყიდა.

**1815** – შეიქმნა პოლონეთის სამეფო, რომელიც რუსეთის სამფლობელოში შევიდა.

**1841** – ახალი ზელანდია ბრიტანეთის კოლონიად გამოცხადდა.

**1906** – სინას ნახევარკუნძული ეგვიპტის ტერიტორია გახდა მას შემდეგ, რაც თურქეთმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე მის მიმართ.

**1958** – ამერიკის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წამოაყენა წინადადება ანტარქტიდის დემილიტარიზაციის შესახებ, რომელიც შემდეგში დაინტერესებულმა ქვეყნებმაც გაიზიარეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე.**

**პოლონეთი** – კონსტიტუციის დღე.

**იაპონია** – კონსტიტუციის დღე.

**აშშ** – ლოცვის ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +18 – +28 |
| ქუთაისი. | +25 – +34 |
| ბათუმი. | +16 – +31 |
| ზუგდიდი. | +17 – +33 |
| თელავი. | +16 – +27 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7881 ლარი |
| 1 ევრო | – 2.1997 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6035 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7907 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.6884 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2251 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2562 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1410 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6176 ლარი |



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

პატარა მიხომ წერისას პასტა გადაყლაპა. შეშინებულმა მშობლებმა სასწრაფოში დარეკეს, გვიშველეთო.

– მალე მოვალთო, – დაამშვიდეს.

– სანამ თქვენ მოხვალთ, რა ვქნათ?

– მანამდე ფანქრით წეროს...

* * *

გურული თავის პატარა ვაჟთან ერთად აბანოში წავიდა. ბავშვს უცებ ფეხი დაუცურდა და თავი იმით შეიმაგრა, რომ მამამისს სასქესო ორგანოზე ჩამოეკიდა.

– კიდო კაი, დედაშენს რომ არ გამოყევი, თვარა ხომ დაასხამდი ტვინს!

* * *



მარო და მიხო ახალმიღებულ ბინაში ჩხუბობენ, სულ რჩეული, ნაღდი კახური „ლოცვაკურთხევით“ უმასპინძლდებიან ერთმანეთს.

უცებ კარზე მეზობლის ბიჭუნა აკაკუნებს:

– მაპატიეთ, მამაჩემს აინტერესებს, რომელ არხზე მიდის ასეთი საინტერესო გადაცემა?

* * *

თუ ბოცვერს ერთი კვირით ვაშიმშილებთ, იგი პითონის გადაყლაპვას შეძლებს, ხოლო თუ ამ დროის განმავლობაში მას არც მდედრ ბოცვერს გავაკარებთ, მაშინ მახრჩობელა პითონი ინანებს, რომ იგი უცებ არ გადაყლაპეს.

* * *

– დღეს მაღაზიაში მხოლოდ ნახევარი საათით შევედი, მაგრამ ხუთი ათასი კი დამატოვებინეს, – ეწუწუნება მარო ქმარს.

– რა ვიცი, შე შობელძაღლო, სახლში მთელი დღეები აგდიხარ, მაგრამ კაპიკს კი არ ტოვებ და...

## კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.